

agrarTvelo

სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი

ISSN 1987-8729



სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი

№4 (12), აგრიკი, 2012

ვასტ 1 ლარი



თოხის გარეშე!



ნივთში სკ

აღმოცენების შემდგომ გამოსაყენებელი მაღალტექნოლოგიური ჰერბიციდი.
გამოყენების ფართო ვადებით.

მოქმედი ნივთიერება- ნივთსულფურონი 40 გრ/ლ

dawvri II ebi Tixi II eT 25-e gv.

გარანტირებული
ეფექტი!

Si m i n d i s qar T u l i



1 omTagora 1 (fao 627)

samxazovani hibridi, samarcvl e, simaRI e
_ 230-240 sm;

si xSi re _ 55-60 aTasi Ziri ha;
vegetacia _ saSual o-sagvi ano _ 124-126
dRe;

maRal produqtul i _ optimal ur agro-
teknikur pirobebSi iZI eva 8-9 tona marc-
val s ha-ze;

rekomendebul ia aRmosavl eT saqarTve-
l os sarwyavi zonebi sa da dasavl eT saqar-
Tvel os rai onebi sTvis zRvis doni dan 700-
750 metramde.

1 omTagora 2 (fao 757)

j i Sxazovani hibridi;
samarcvl e-sasi l ose;
marcval i _ sasursaTe, mowi Tal o-yvi Te-
l i Seferil obis;
simaRI e _ 265-280 sm;
si xSi re 45-50 aTasi Ziri /ha;
savegetaco periodi _ 134-136 dRe;
maRal produqtul i, optimal ur agroteq-
nikur pirobebSi heqtarze iZI eva 7-8 tona
marcval s, an 60-70 tona _ sasi l ose masas;
kargad aris Seguebul i subtropikul da
tenian subtropikul pirobebs.

1 omTagora 3 (fao 727)

j i Sxazovani hibridi, samarcvl e, simaRI e
_ 265-272 sm;
si xSi re _ 55-60 aTasi Ziri /ha;
vegetacia _ 130-132 dRe;
maRal produqtul i _ optimal ur agroteq-
nikur pirobebSi iZI eva 7-8 tona marcval s ha;
rekomendebul ia aRmosavl eT saqarTve-
l os sarwyavi zonebi sTvis.



1 omTagora 4


j i Sxazovani hibridi, TeTri;
sasursaTe, SesaZI ebel ia sasi l osed da
safurajed gamoyenebac;
mcenaris simaRI e 308 sm;
marcvl i s mosavl i anobi T 22-24% aWarbebs
.aj ameTis TeTrs";
si xSi re 45-50 aTasi Ziri heqtarze;
savegetacio periodi _ 140-143 dRe;
Rero da fesvTa sistema gamZI ea Cawol i-
sadmi .

rekomendebul ia dasavl eT saqarTvel os
dabl obi zonis da aRmosavl eT saqarTve-
l os im sarwyavi regi onebi sTvis, sadac haer-
is temperaturaTa j ami aris 3900-4500°C.

1 omTagora 5

samxazovani hibridi, TeTri;
SesaZI ebel ia sasursaTe gamoyeneba;
mcenaris simaRI e 303 sm;
marcvl i s mosavl i anobi T 36-38% aWarbebs
.aj ameTis TeTrs";
si xSi re 45-50 aTasi Ziri heqtarze;
savegetacio periodi _ 141-143 dRe;
gamZI ea Cawol i sadmi ;
rekomendebul ia dasavl eT saqarTve-
l os dabl obi zonis da aRmosavl eT sa-
qarTvel os im sarwyavi regi onebi sTvis
sadac haeris temperaturaTa j ami aris
3900-4500°C.

nomerSi waiki TxavT:



ახალი აგრარული
საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)
ყოველთვიური სამეცნიერო-
საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine
აპრილი, 2012 ნელი.

№4 (12)

სარედაქციო კოლეგია:
შოთა მაჭარაშვილი (მდ. რედაქტორი),
ნუგბარ ებანიძე, მიხეილ სოხაძე,
თამარ სანიიძე, ნოდარ ბრეგვაძე,
თამა გაგუშვილი (მდ. კრ. რედაქტორი).

სამეცნიერო საბჭო:
აკადემიურები, მეცნიერებათა
დოქტორები, პროფესორები:
რევაზ მახარობლიძე (თაჯქ. დოკორი),
ნოდარ ჩხარტიშვილი, ნუგბარ ებანიძე,
პეტრე გასერიშვილი, ზუად ბრეგვაძე, ელ-
გუჯა გუჯუშვილი, ზუად ჯულუხიძე, ზურაბ
ჯინჯიშვილი, ადოლ ტემუშელშვილი, ლერი
ნობაძე, ნატო კაცბაძე, ვლადიმერ ცახავა,
კუკური ქერა, ამირა ავეიშვილი, გაბა
ლაშვილი, მარა თევდორაშვილი, ნუგბარ
სარეკლამი, დავით ბერდა, თენგზ გურაშვილი,
კობა კობალაძე, ნუკრი მემარნიშვილი.

გამოცემელი:
„აგრარული სექტორის
კომანიების ასოციაცია“ (ასკა);
Agraruli Sectoris
Companiebis asociacia (ASCA);
(Association of Agrarian Sector Companies).

საქართველოს რეგიონული ეკონომიკური
პრიორიტეტების კვლევითი ცნტრი „რეგიონიკა“;
Regionica - Georgian Research Center for
Regional Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:
თბილისი (0119), აკადმიის ქ. № 32
ტელ/ტელ: +995 (33) 2 34-76-33
+995 (99) 16 -18-31
Tbilisi (0119), Agladze str. № 32
e-mail: agroasca@gmail.com
Web: www.regionica.org/journal.html

editor of English version Tamta Gugushvili

დააკაბლონა გორგო მაისურაძემ

ჟურნალი ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის პრინციპით.
The magazine uses the principle of free press.
© საავტორო უფლება დაცულია.
the author right is protected.
რეფერირებაზე 2011 წლიდან

WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა

Tbilisi
tel /fax: (+995 32) 2 35 10 05.
tel : (+995 32) 2 34 76 33,
(+995 32) 2 34 45 37
www. worldtechnic.ge

5



Sps `megani zatoris-
warmatebis formul a

კომპანიის ისტორია 2009 წლის ბოლოს
დაიწყო. დღეს უკვე „მექანიზატორის“
ამოქმედებიდან მესამე წელიწადს, ხმა-
მაღლა შეიძლება ითქვას, რომ საწარ-
მოს შექმნის იდეამ გაამართლა.

11



vazis mavnnebl ebi, daavadebebi da
maTTan brZol is meTodebi

ჩვენში მავნებლებიდან განსაკუთ-
რებით გავრცელებულია ყურძნის
ჭია, ფარიანები, ტკიპები, ხოლო და-
ავადებიდან: ვაზის ჭრაქი, ნაცარი და
ყურძნის სიდამპლე.

16



maski o-gaspardos SP xaxis
zusti Tesvi s pnevmaturi
saTesi ebi SARA, ST STELLA,
SI SIMONA, SILVIA

ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ ფერმერებსა და აგრარუ-
ლი ბიზნესით დაკავებულ კომპანიებს, მსხვილ და მცირე მეწარმეებს,
კომერციულ და გლეხურ მეურნეებს სთავაზობს ხელსაყრელ საინ-
ფორმაციო და სარეკლამო მომსახურებას.

ჟურნალში ერთი კვადრატული სანტიმეტრი სარეკლამო ფართის ღირე-
ბულება შეადგენს: ყდის მეორე გვერდზე – 60 თეთრს (მთლიანი გვერდი
– 350 ლარი), ბოლოსნისა გვერდზე – 50 თეთრს (მთლიანი გვერდი – 300
ლარი), ბოლო გვერდზე – უკანა ყდაზე – 60 თეთრს (მთლიანი გვერდი –
350 ლარი). შიდა გვერდზე – 35 თეთრს (მთლიანი გვერდი – 200 ლარი).

ჟურნალში უფასოდ შეგიძლიათ განათავსოთ განცხადებები მეურნე-
ობის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ინვენტარის, პირუტყვის და სხვა
პროდუქციის ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ რეფერირებადაა 2009
წლიდან. სამეცნიერო სტატიის მოცულობა რეზიუმეს თანხლებით არ
უნდა აღმატებოდეს 1,5 ინტერვალით, 12-იანი შროფტით ნაბეჭდ 5
თაბაზის გვერდს. სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება უფასოა.

7

bostneul i kul turebis movl a-
moyvanis agroteqpol ogia

9

ual kohol o sasmel ebis
gamofena Tbil isSi

12

xexil is rekomendebul i da
perspektiul i j i Sebis
mokl e biol ogi ur-sameurneo
daxasi aTeba

14

efeqtiani mekartofil eoba

15

namj aSi kartofil is moyvanis
meTodi

17

firma CLAAS-i - sasofi o-
sameurneo teqni ki s mowi nave
mwarmoebel i

18

ukraina - saqar Tvel os
sai medo partnori

19

mekameCeoba

20

sakvebi sa da kvebi s gavl ena
rZi s Semcvel obaze da mi sgan
damzadebul i karaqi s da
yvel is xarisxze

22

wiwil is gamozrda fermerul
(sakarmi damo) meurneobaSi

23

kvl evebi Roris afrikul i
cxel ebis kontrol isaTvis
saqar Tvel oSi

26

mci rekonturian nakveTebSi
ni adagis damuSavebis
saki TxisTvis

28

Tesvis kal endari

29

mfutkreoba



Si mindis movl a-moyvani s teqnoi ogiuri ruka

სიმინდი საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი საინტერესო და ყველაზე მასობრივი კულტურაა. იგი ყოველთვის დიდ ფართობებზე ითესებოდა და დღესაც ითესება საქართველოში, ამიტომ ამ კულტურისადმი ინტერესი ყოველთვის დიდია. დღეს გთავაზობთ ქართველი მეცნიერების მიერ შედგენილ სარეკომენდაციო მასალას სიმინდის მოვლა-მოყვანის აგრონესებს, რომელიც მოცემულია ცხრილის სახით, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რეგიონებისთვის.

აRmosavI eT saqarTvel osTvi s

dasavI eT saqarTvel osTvi s

	ჩასატარებელი ღონისძიებები	შესრულების ვადა		ჩასატარებელი ღონისძიებები	შესრულების ვადა
1	ნაწვერალის აჩერვა (დადისკვა) მძიმე დისკებიანი ფარცხით	X-XI		რთული მინერალური სასუქის (B ₁₅₀ P ₁₂₀ K ₄₅ მოქმედი ნივთიერება) შეტანა ნიადაგის მოხვნის ან სიმინდის თესვის დროს. სასუქის ფიზიკური წონის განსაზღვრისთვის შესატანი მოქმედი ნივთიერების რაოდენობის მრავლდება 100-ზე და იყოფა სასუქში არსებულ ნოქმედი რაოდენობის პროცენტულ შემცველობაზე.	II-III
2	რთული მინერალური სასუქის (B ₁₅₀ P ₁₂₀ K ₄₅ მოქმედი ნივთიერება) შეტანა ნიადაგის მოხვნის ან სიმინდის თესვის დროს. სასუქის ფიზიკური წონის განსაზღვრისთვის შესატანი მოქმედი ნივთიერების რაოდენობის მრავლდება 100-ზე და იყოფა სასუქში არსებულ ნოქმედი რაოდენობის პროცენტულ შემცველობაზე.	X-XI		ნიადაგის მზრალად მოხვნა 22-27 სმ. სიღრმეზე.	II-III
3	ნიადაგის მზრალად მოხვნა 22-27 სმ. სიღრმეზე.	X-XI		სწულის კულტივაცია დაფარცხვით (ერთხელ ან ორჯერ). ბოლო კულტივაცია ტარდება თესვამდე 2-3 დღით ადრე.	IV-V
4	სწულის კულტივაცია დაფარცხვით (ერთხელ ან ორჯერ). ბოლო კულტივაცია ტარდება თესვამდე 2-3 დღით ადრე.	IV		ჰერბიციდის (პრიმექსტრა გოლდი 3-4 ლ/ჰა. გახსნილი 300 ლიტრ წყალში) შეტანა თესვამდე ან თესვის შემდეგ სიმინდის აღმოცენებამდე.	IV-V
5	ჰერბიციდის (პრიმექსტრა გოლდი 3-4 ლ/ჰა. გახსნილი 300 ლიტრ წყალში) შეტანა თესვამდე ან თესვის შემდეგ სიმინდის აღმოცენებამდე.	IV-V		თესვა. ერთ ჰექტარზე ითესება „ლომთაგორა 1“ – 75000; „ლომთაგორა 2“ – 65000; „ლომთაგორა 4“ (თეთრმარცვლიანი) 65000 მარცვალი.	
6	თესვა. ერთ ჰექტარზე ითესება „ლომთაგორა 1“ – 75000; „ლომთაგორა 2“ – 65000; „ლომთაგორა 3“ – 68000; „ლომთაგორა 4“ (თეთრმარცვლიანი) 65000 მარცვალი.	IV-V		ჰერბიციდის (2,4 დ ამინის მარლი 1-1,2 ლ/ჰა. გახსნილი 300 ლ. წყალში) შეტანა სიმინდის მცენარის 3-4 ფოთლის ფაზაში. შალაფით და ერთლიანი მარცვლოვანი სარეცელებით დასარეცელიანების შემთხვევაში მას უნდა დაემატოს სიმინდის ერთ-ერთ რომელიმე ჰერბიციდი: „ტიტუსი“ ან „მაისი“ (50 გრ/ჰა.), „სტელარი“ (1,2 ლ/ჰა.); „მილაგრო“ ექსტრა (0,75ლ/ჰა.), ან რომელიმე მათი ანალოგი.	V
7	ჰერბიციდის (2,4 დ ამინის მარლი 1-1,2 ლ/ჰა. გახსნილი 300 ლ. წყალში) შეტანა სიმინდის მცენარის 3-4 ფოთლის ფაზაში. შალაფით და ერთლიანი მარცვლოვანი სარეცელებით დასარეცელიანების შემთხვევაში მას უნდა დაემატოს სიმინდის ერთ-ერთ რომელიმე ჰერბიციდი: „ტიტუსი“ ან „მაისი“ (50 გრ/ჰა.), „სტელარი“ (1,2 ლ/ჰა.); „მილაგრო“ ექსტრა (0,75ლ/ჰა.), ან რომელიმე მათი ანალოგი.	V		ნათესის პირველადი კულტივაცია სიმინდის მცენარის 4-5 ფოთლის ფაზაში.	V-VI
8	ნათესის პირველადი კულტივაცია სიმინდის მცენარის 4-5 ფოთლის ფაზაში.	V-VI		ნათესის გამოკვება ამონიუმის გვარჯილით 300-350 კგ/ჰა. (ფიზიკური წონით) ნათესის მეორე კულტივაციის დროს, რომელიც ტარდება პირველი კულტივაციიდან 14-15 დღის შემდეგ.	V-VI
9	ნათესის გამოკვება ამონიუმის გვარჯილით 300-350 კგ/ჰა. (ფიზიკური წონით) ნათესის მეორე კულტივაციის დროს, რომელიც ტარდება პირველი კულტივაციიდან 14-15 დღის შემდეგ.	V-VI		მოსავლის მარცვლად აღების შემთხვევაში იგი აუცილებლად საჭიროებს საშრობში გაშრობას.	IX-X
10	ნათესის სავეგეტაციო მორჩყვა 3-ჯერ: 1) 12-15 ფოთლის ფაზაში; 2) ყვავილობის დროს; 3) მარცვლის რძისფერი სიმნივეს ფაზაში	V-VI-VII		მოსავლის მარცვლად აღების შემთხვევაში იგი აუცილებლად საჭიროებს საშრობში გაშრობას.	IX-X
11	მოსავლის აღება მარცვლის სრული სიმნივეს ფაზაში	IX-X		რეკომენდაცია შედგენილია შეს „აგრო სამეცნიერო ჯგუფ ლომთაგორას“ მიერ.	
12	მოსავლის მარცვლად აღების შემთხვევაში იგი აუცილებლად საჭიროებს საშრობში გაშრობას.	IX-X		ტელ.: 599 56 26 16; 591 150 154; 593 94 38 09. e-mail: info@lomtagora.com www. lomtagora.com	



Sps `meqani zatoris - warmatebis formul a

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამანქანო პარკის თანამედროვე მან-ქანა-იარაღებით და ტექნოლოგიებით აღჭურვა ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების მთავარი წინაპირობაა.

წლების განმავლობაში ამ მხრივ დიდი წინსვლა არ იგრძნობოდა, თუ არ ჩავთვლით ორიოდე მეგობარი სახელმწიფო-სა და დონორი ორგანიზაციების დახმარებას. ბოლო დროს ვითარება შეიცვალა, მთავრობამ სოფლის მეურნეობის განვითარება დაისახა მიზნად და კონკრეტული ქმედებების განხორციელებაც დაიწყო, რეგიონებში აგრო-სერვის ცენტრების გამართვა და მათი ახალი ტექნიკით უზრუნველყოფა გადაწყვიტა. სწორედ ამ საქმის ორგანიზებისთვის შეიქმნა შპს „მექანიზატორი“.

კომპანიის ისტორია 2009 წლის ბოლოს დაიწყო. დღეს უკვე „მექანიზატორის“ ამოქმედებიდან მესამე წელი წადას, ხმამაღლა შეიძლება ითქვას, რომ საწარმოს შექმნის იდეამ გაამართლა. კომპანიის მომსახურებით მსხვილი ფერმერებიც კმაყოფილები არიან და მცირე მეურნეებიც. კომპანია ყოველწლიურად აფართოვს სერვის ცენტრების სამანქანო პარკს და სულ უფრო სრულყოფილ და მაღალი დონის მომსახურებას სთავაზობს ფერმერებს.

შპს „მექანიზატორის“ გენერალური დირექტორის ბესო თეთვაძის განმარტებით, დღეს, მსოფლიოში თითქმის, არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიების მნარმოებელი წამყვანი კომპანია, რომლის ულტრათანამედროვე ტექნიკა და აგრეგატები „მექანიზატორს“ არ შემოჰქონდება.

ამის სადემონსტრაციოდ რამდენიმე მათგანის ჩამოთვლაც იქმარებს: „ჯონ-დირი“, „კლასი“, „გრიმე“, „კუნი“, „ნიუ-ჰოლანდი“, „მასკიო-გასპარდო“ და სხვა.



თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ კომპანიებს, ხორბლის გარდა, მზესუმზირის, სოიას, ლობიოს და სიმინდის აღებაც (მარცვლად აღება) შეუძლია.

კომპანიას შემოაქვს ქვების შემგროვებელი აგრეგატები, ბოსტნეულის სათესები, ჩითილების სარგავი, მულჩატორები (მულჩის გამკეთებელი), ჩაის ამოსაძირები და მძიმედ სასხლავი მანქანები, სარწყავი აგრეგატები და სხვა.

წლეულს (ათწლეულების შემდეგ) საქართველოში პირველად კომპანია ჯავახეთში, ახალქალაქის რაიონში საცდელად 140 ჰექტარზე წინიბურის დათვესვას გეგმავს.

დიდი ხანი არ არის რაც „მექანიზატორმა“ 300 ერთეული ტრაქტორი შემოიყვანა და კიდევ ერთი მილიონი ევროს ლირებულების ტექნიკა, ანუ დამატებით კიდევ 300 ტრაქტორი შემოვა, ასე რომ, რეალურად ქვეყანაში 700 ახალი ტრაქტორი იქნება. მართალია, საქართველოში მთლიანად 800 000 ჰა. სახნავ-სათესი სავარგულია და ამ ფართობს 700-800 ტრაქტორი ვერ გასწვდება, მაგრამ, ამ ეტაპისთვის ეს რაოდენობა საკმარისია დღეს მოქმე-

დი ფართობების უმეტესი ნაწილის აგროვადში დასამუშავებლად.


დღევანდელი მდგომარეობით ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ბაზარზე სამუშაოების 50-60% შპს „მექანიზატორი“ ასრულებს.

ამ პერიოდისთვის საგაზაფხულო სამუშაოები დამთავრების ფაზაში უნდა იყოს, მაგრამ, როგორც ბატონი ბესო გვიხსნის, უმინდობის, უჩვეულოდ ცივი გაზაფხულის გამო, ჯერ დაწყებულიც არ არის. ამ პრობლემებიდან გამომდინარე, კომპანია გარკვეულ შელავათ გაუწევს ფერმერებს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს იმ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების, აგროსერვისის ელექტრონული პროგრამების Argolis-ის შესახება, რასაც შპს „მექანიზატორი“ საქართველოში ნერგავს.

ra aris ARGOLIS-I

Argolis-ი არის სოფლის მეურნეობის კომპიუტერული პროგრამა, რო-



მელიც თანამედროვე ტექნოლოგიებს მოიცავს. იგი სამუშაოს დაგეგმვის, ხარჯთაღრიცხვის, დოკუმენტაციის მოწესრიგების, შეფასების, კონსულტაციის, კონტროლის და სწრაფი რეაგირების კარგი სამუშალება.

პროგრამა შესაძლებელს ხდის GPS-ს დახმარებით ოპერატიულად დავამყაროთ კავშირი მინდორში მომუშავე მექანიზატორებთან, მივაწოდოთ მათ საჭირო ინფორმაცია, თვალყური ვადევნოთ მათ მუშაობას, გადაადგილებას, როდის დაინტერაციაში მუშაობა, როგორია საწვავის ხარჯი, რა სამუშაოს ასრულებს: ხნავს, აფხვიერებს, თესავს, კულტივაციას აკეთებს, პერბიციდი შეაქვს თუ სხვა. ყველა შესრულებული სამუშაო რუკაზე დატანილ იმ ფართობზე სადაც სამუშაოები სრულდება, სხვადასხვა ფერით აღინიშნება. მექანიზმების მუშაობის თვალყურის დევნება მსოფლიოს წესის მიერი წერტილიდან შეიძლება.

ოპერატორთან კავშირის დამყარება შესაძლებელია, როგორც კომპიუტერიდან, ასევე პორტატული მოწყობილობებიდან ან მობილური ტელეფონებიდან, რომლებსაც აქვს ინტერნეტის და GPS-ს სისტემა. GPS-ს თანამგზავრული მონიტორინგის სისტემაში გამოიყენება მრავალფეროვანი რუკები, მათ შორის OPEN STREET MAP, GOOGLE MAPS. საბაზო კომპლექტაციაში შედის WEBGIS, რომლის შევსებაც შესაძლებელია ვექტორული რუკებით.

Google Map-ი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი, ცნობადი და პოპულარული რუკების ონლაინ პორტალია მსოფლიოში, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას ამა თუ იმ ქვეყნის, ქალაქის, ქუჩების და სხვადასხვა ობიექტების შესახებ. სწორედ ეს რუკები გამო-

იყენება AGROLIS-თან მიმართებაში. WEBGIS-ი გეოინფორმაციული და ვებ-ტექნოლოგიების ძირითადი შემადგენელი ნაწილია. WEBGIS-ის რუკაზე აისახება ტრანსპორტის მოძრაობა, ადგილმდებარეობა, რაც საბოლოო ჯაში შესაძლებელს ხდის გავაუმჯობესოთ, დავხვეწოთ, დავამუშაოთ, აღვწეროთ და ვაკონტროლოთ აგრო სამუშაოები და მისი შესრულების ხარისხი.

AGROLIS-ი გვაძლევს დაგეგმვის, ხარჯთაღრიცხვის, დოკუმენტირების, შეფასების, კონსულტაციის, კონტროლის და ოპერატიულად მუშაობის საშუალებას.

შეტყობინების მიღება შესაძლებელია სახვადასხვა სიტუაციაში, მაგალითად, სიჩქარის გადაჭარება, სამუშაოს დასრულება, არასამუშაო ზონაში გადასვლა, განგაშის ღილაკის დაჭერა, მაჩვენებლების ცვლილება, ობიექტთან კავშირის დაკარგვა.

მეტი იპერატიულობისა და თვისებამჭვირვალობისთვის აგროლისის საშუალებით ხდება სამუშაო პროცესის მართვა. ამას სპეციალური სამსახური ასრულებს.

ეს სისტემა უკვე დანერგილია და წარმატებულად მუშაობს.

ასევე ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანია „მექანიზატორის“ მიერ დანერგილი ფერმერთა მომსახურების სწრაფი და ღია სისტემა – Agro PAD-ი.

AGRO PAD-ი არის მოწყობილობა, რისი მეშვეობითაც ელექტრონული მეთოდით ხორციელდება საბუთების გაფორმება, ხელშეკრულების დადება.

ხელშეკრულების დადასტურების შემდეგ პრინტერზე ამოიბეჭდება ინკოდი, რომლის საფუძველზედაც თანხა ბანკში გადაიხდება. კლიენტის

მიერ ბანკში ფულის გადახდისთანვე AGRO PAD-ზე მოდის შეტყობინება.

ამის გარდა კომპანია ფერმერს 40-მდე აგროტექნიკურ სერვისს სთავაზობს.

momsaxurebis centrebi

კომპანია „მექანიზატორი“ აპრილში 12 მომსახურების ცენტრის გახსნას გეგმავს. აქედან 6 დღიდ სათაო ცენტრი იქნება, რომლებიც ჩალაუბანში, ახალციხეში, მარნეულში, აბაშაში, ზესტაფონში და ქარელში განთავსდება, პატარა ცენტრები კი იქნება დედოფლასწყაროში, კასპის რაიონის სოფელ რენეში, ამბოლაურში, ოზურგეთში, ბოლნისში და სამტრედიაში, აქ იქნება ადმინისტრაციული შენობა, სადაც განთავსდება ტრეინინგების, შეხვედრების, საკონსულტაციო ოთახები, ბანკი, თანხის ჩარიცხვა, ფინანსური აპერაციების დროული წარმოება, შხამქიმიკატების, მარაგნანილების მაღაზიები. აქვე იქნება სარემონტო სადგურები, სადაც გარემონტდება როგორც ჩვენი, ასევე კერძო სექტორში გაბნეული ტექნიკა, იქნება სამრეცხაო, ყველანაირი ელემენტალური პირობა, რაც ტექნიკისთვის იქნება საჭირო. დიდ სერვისცენტრებს დაემატება შენობა, სადაც განთავსდება: ნიდაგის, მცენარეთა დაცვის სადიაგნოსტიკო ლაბორატორიები, და ამინდის პროგნოზირების ცენტრი. ამ მიმართებით უკვე მიმდინარეობს სპეციალისტთა გადამზადება და ახალ სერვის ცენტრებში კარგად მომზადებული სპეციალისტები იმუშავებენ და სრულყოფილ მომსახურებას გაუწევენ მომხმარებელს.

**ესაუბრა
mariam lebanize**



bostneul i kul turebis movl a-moyvani s agroteqnol ogia

**nato kakabaZe, სმმ დოქტორი. ბოსტნეულ-ბალჩული კულტურების
ნაციონალური კორდინატორი საქართველოში**



oxraxuSi (PETROSELINUM SATIVUM)

ოხრახუში ჯვარედინდამტვერიანებელი ორწლიანი მცენარეა. პირველ წელს ინვითარებს ფოთოლების როზეტს და ძირხვენს, მეორე წელს კი, გამოაქვს საყვავილე ღერო და იძლევა თესლს. იგი არმატული და სურნელოვანი მცენარეა, რაც გამონვეულია მასში ოხრახუშის ეთერის ზეთის არსებობით. ოხრახუშის, როგორც ფოთოლი, ისე ძირხვენი, გამოიყენება საჭმელად, მწვანილად, სალათების და ხორციანი კერძების საკმაზად.

ოხრახუშის ჯიშების ორი ჯგუფი არსებობს: ფოთოლოვანი და ძირიანი. ჩვენში უფრო გავრცელებულია ფოთოლოვანი ჯიშები. ოხრახუშს აქვს ძალიან წვრილი თესლი, რის გამოც გვიან აღმოცენდება, ამიტომ ის შემოდგომიდან დაწყებული აღრე გაზაფხულამდე ითესება.

შემოდგომაზე წინამორბედი კულტურების აღებისთანავე საჭიროა მზრალად ხვნა. ხვნის წინ საჭიროა ჰექტარზე 40-60 ტონა საქონლის გადამწვარი ნაკელის ან კომპოსტის შეტანა. მისა უქონლობისას მიზანშენონილია 1,5-2 ცენტნერი სუპერფოსფატის და 0,6-0,9 ცენტნერი კა-

ლიუმის მარილის გაზაფხულზე შეტანა. თესვამდე საჭიროა მზრალის კულტივაცია 20-25 სმ სიღრმეზე, 2-3 ჯერ დაფარცხვა და შემდეგ სარწყავი კვლების და არხების დაჭრა. ჩათესვის სიღრმე 2-3 სმ. არ უნდა აღემატებოდეს.

დიდ ფართობებზე ოხრახუში ითესება მწვრივად, მწვრივების 20-25 სმ. დაშლორებით. შესაძლებელია მისი ზოლებად თესვა. ამ შემთხვევაში ზოლები ერთმანეთისაგან 50 სმ. უნდა დაშლორდეს. ოხრახუშის აღმოცენებამდე ნიადაგმა ქერქი რომ არ გაიჩინოს და სარეველა მცენარეები არ აღმოცენდნენ, თესვის წინ ოხრახუშის თესლს უნდა შეერიოს 2-3% რაოდენობით სალათის თესლი. სალათა მალე აღმოცენდება და გვიჩვენებს მწვრივებს, რაც ქერქის დარღვევის და სარეველების მოცილების საშუალებას მოგვცემს. თესლის თესვის ნორმა ჰა-ზე 6-8 კგ. ოხრახუშის მოვლა გამოიხატება ნიადაგის გაფხვიერებაში, გამარგვლა-გათოხვნაში, გამეჩხრებაში, დამატებით გამოკვებაში და მორწყვაში. მწკრივთა შორისების პირველი გაფხვიერება საჭიროა ოხრახუშის დათესვიდან სამი კვირის შემდეგ. ხოლო პირველი გამეჩხრება დათესვიდან 30 დღის შემდეგ. პირველი გამეჩხრების შემდეგ მცენარეები ერთმანეთს უნდა დაშლორდეს 2-3 სმ. პირველი გამეჩხრებიდან 20-25 დღის შემდეგ ტარდება მეორე კულტივაცია- გამეჩხრება 5-6 სმ-ზე. დამატებითი კვების სახით საჭიროა ორჯერ თხიერი სასუქის შეტანა. პირველი აღმოცენებიდან 3-4 კვირის შემდეგ, როდესაც მცენარეს 4-5 ფოთოლი აქვს. მეორე კი პირველი გამოკვებიდან 20-25 დღის შემდეგ.

ოხრახუშის ფოთოლოვანი ჯიშების მოსავლის აღება ანუ ფოთლების მოჭრა წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ შეიძლება.

qinZi

(CORIANDRUM SATIVUM)

ქინდი ფართოდ გავრცელებული ეთერზეთოვანი კულტურაა. მისი თესლიდან გამოხდილი ზეთი გამოიყენება პარფუმერიაში. ქინდი გამოიყენება როგორც მწვანილი და სამუშალო თვისებების მქონე მცენარე.

ქინდი ერთნალიანი, ყინვაგამძლე მცენარეა, მას შემოდგომაზეც თესვენ ნაკელით განოყიერებულ, ფხვიერ, სარეველებისაგან სუფთა მსუბუქ ნიადაგებზე.

ნიადაგის მომზადება ქინდისათვის ისეთივე, რაც – ოხრახუშისათვის. თესვა წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიძლება – გაზაფხულიდან შემოდგომა-მდე. მისი დათესვა შეიძლება, აგრეთვე როგორც შემჭიდროებული კულტურა, მაგალითად: თვის ბოლოკეთან ერთად.

ქინდი აღმოცენებას იწყებს მე-15 დღეს. მისი თესლი ადრე კარგავს აღმოცენების უნარს, ამიტომ დასათესად უკეთესია 1-2 წლიანი თესლი. თესლის გაღივების დასაველება 3-4 დღე, შემდეგ ჰა-ზე შეშრობა და თესვა 3-4 სმ სიღრმეზე. თესვა უმჯობესია მწვრივად 25-30 სმ დაშლორებით. თესვის ნორმა ჰა-ზე 5-7 კგ.

ქინდის მოვლა გამოიხატება სარეველების მოცილებაში, 2-3 ჯერ გაფხვიერება-გამოხშირვაში და, საჭიროების მიხედვით, მორწყვაში.



ქინძის მოსავლის აღება იწყება, როდესაც მცენარე განივითარებს 4-5 ნამდვილ ფოთოლს. იჭრება ძირზე ან იკრიფტება მარტინ ფოთლები.

სათესლე მცენარეები ერთმანეთი-
საგან 10-15 სმ-ზე უნდა დაცილდეს.
თესლი სხვადასხვა დროს შემოძის,
ამიტომ მასობრივად დამწიფდება თუ
არა, მცენარე ითხრება, იშლება ბრე-
ზენტზე, იბეგვება ხელით ან ილენე-
ბა კომბაინით ან სალენტი მანქანით.
გამშრალი თესლი იწმინდება ხელით
ან პეტუჟისით თესლის კონდიციამდე
დასაყვანად.

tarxuna (ARTEMISIA DRACUNCULAS L.)



მრავალწლიანი სურნელოვანი ბოსტნეულია. ეკუთვნის რთულყვავილოვანთა ოჯახს. გამოიყენება როგორც ნედლი, ისე გამხმარი ღერო-ფოთლები.

ტარხუნის სუნი და არომატი დამო-
კიდებულია მასში ტარხუნის ზეთის
შემცველობაზე. ნედლ ფოთოლში
ზეთი 0.4%-ია, გამხმარში კი – 0.8%.
ზეთის გარდა ფოთლებში არის A და C
ვიტამინები, ფლავონიდები, ცილები,
ცხიმები. ტარხუნის ეთერის ზეთისა-
გან ტარხუნის ძმარი მზადდება, რო-
მელიც ხორცისა და თევზის საკონ-
სერვო მრეწველობაში გამოიყენება.
ტარხუნას გააჩნია სამკურნალო თვი-
სებები: შარდმდენია. მუავიანობას
ნორმაზე აყენებს.

ტარხუნის დერო ბალახოვანი,
გლუვი და სწორმდგომია, აღწევს
60-125 სმ. სიმაღლეს. ყვავილობს ივ-
ლის-აგვისტოში. თავიდან ყვავილი
მოთეთრო-მოყვითალოა, ხოლო აგ-
ვისტოში მოწითალო შეფერილობას
დებულობს. თესლს იშვიათად იძლე-
ვა. ამიტომ ძირითადად ვეგეტატიუ-
რად ამრავლებენ. ითესება მარტ-აპ-
რილში და სექტემბერ-ოქტომბერში.

თესლი არის ნერილი, ბრტყელი, მუქი. 1000 ცალი თესლის მასაა 0.3-0.5 გრამი. გადარგვა ხდება მაისში, ხოლო მოსავლის აღება იწყება ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით.

ცნობილია ტარხუნის ორი ჯიში: ფრანგული და რუსული. რომელთა გამრავლება ხდება ბუჩქის დაყოფით ან კალმებით. ბუჩქის დაყოფით გამრავლების დროს აღრე გაზაფხულზე, ან გვიან ზაფხულში ტარხუნის ძირები ნაწილდება ისე, რომ ფესვის თითოეულ ნაწილს თან გაყვეს მომავალი ყლორტის ამოსალები კვირტი და ირგვება კარგად განვიყირებულ ნია-დაგზე მნერივად, მნერივთა შორის 25 სმ-ზე, ხოლო მნერივში მცენარეთა შორის-15 სმ-ზე.

ტარზუნის გამრავლება ყლორტების
დაფესვიანებითაც შეიძლება. იქრება
15-20 სმ. სიმაღლის ყლორტები, იკვე-
ცება ქვედა ფოთლები 5-6 სმ. სიმაღ-
ლემდე და ირგვება წმინდა ქვიშით,
ან ფეხიერი მიწით სავსე ყუთებში და
თავსდება კვალსათბურში, ან სხვა
თბილ ადგილას. ტარზუნის ყლორტე-
ბი 10-12 დღეში გამოილებს ფესვებს,
დაიწყებს ზრდას და მუდმივ ადგილ-
ზე გადარგავენ ისე, როგორც ბუჩქებს
დაყოფით გამრავლების დროს.

ერთხელ გაშენებული ტარხუნის პლანტაცია 12-15 წელიწადს ძლებს, მაგრამ 5 წლის შემდეგ ბუჩქები ბერ-დება, იზრდება სუსტად და საჭიროა მისი განახლება.

რამდენადაც ტარხუნა ერთ ადგილზე 5 წელს ხარობს, აუცილებელია ნიადაგის ღრმა დამუშავება, კულტი-ვაცია-ფარცხვა, მორნება. შემოდგომაზე ხენის ნინ საჭიროა 1 ჰა-ზე შევიტანოთ 300-400კგ. სუპერფოსფატი, 120-150 კგ. – კალიუმის მარილი, 150-200 კგ. – სულფატამონიუმი ან 40-60 ტონა საქონლის გადამწვარი ნაკლი.

ტარხუნის ნარგავის მოვლა

საჭიროების მიხედვით ხორციელდება რიგთაშორის 3-4 ჯერ გათონბენა-გამარგვლა, მცენარის ირგვლივ ნაადაგის გაფხვიერება, მორნება. ტარხუნის ზრდა გვიან შემოძგომამდე გრძელდება, ზამთარში მიწისზედა ნანილი ხეება და გაზაფხულზე ხელახლა ახალ ყლორტებს ამოიყრის.

ტარზუნის მოსაკალი სამწვანილედ
გაზაფხულზე და ზაფხულში უნდა
ავიღოთ, ყლორტები უნდა მოიჭრას,
ხოლო სხვა დანიშნულებით იგივე ძე-
ოთვით შემოდგომაზე უნდა ავიღოთ.

i spanax

(SPINACIA OLERACIAE L.)

ერთნლიანი ბალახოვანი მცენარეა, ეკუთვნის ნაცარქათამისებრთა ოჯახს. ისპანანის ფოთოლი ფხლად და ზოგჯერ მწვანილადაც გამოიყენება. ის მდიდარია აზოტოვანი ნივთიერებებით, განსაკუთრებით ცილებით, აგრეთვი კალიჭიუმით და რკინით.

ისპანაში გამოირჩევა ყინვაგამძლეობით, სიცივის ამტანობით, ამიტომაც მას შემოდგომით დათესვის შემთხვევაში შეუძლია გამოიზამთროს არა მარტო დაბლობ ზონაში, არამედ მაღალმთან პირობებში. მისი თესლი ღივდება 2-3 გრაფუს ტემპერატურაზე და 20-22 დღეში ვითარდება კარგად განვითარებული ხორციანი მკენარე.

ისპანახი ითესება შემოდგომაზე, ზამთარში, ადრე გაზაფხულზე, გვიან გაზაფხულზე. ზაფხულში ნათესი ისპანახი იძლევა მცირე რაოდენობით ფითოლს და მაღლე ყვავის, ამიტომ ამ დროს თესვა არ არის მიზანშეწონილი. გაზაფხულსა და შემოდგომაზე ისპანახი შეიძლება რამდენიმე ვადაში დაითესოს. მეტნილად მობნევით ან მნერივად ითესება. მნერივთმორის 20 სმ, მნერივში მცენარეთა შერის 5 სმ. თესლის ჩათესვის სილრემე 3-4 სმ-ია. მნერივად თესვის დროს ჰექტარზე საჭიროა 30-40 კგ. თესლი, ხოლო მობნევით თუსვისას – 40-50 კგ.

ისპანახის ჯიშებიდან ჩვენში გავრცელებულია სუქუქფოთლიანი და გლუვ-ფოთლიანი ფორმები: „ვიქტორია”, „გოდრი”, როსტოკის, ჰოლანდიური. მათი სავეგეტაციო პერიოდი 40-45 დღეა. ისპანახი სწრაფად იზრდება, განსაკუთრებით გაზაფხულის ნათესი. ამიტომ მოსავალი რაც შეიძლება მალე უნდა ავიღოთ, აყვავებამდე. მოსავლის აღების დროს მცენარე იჭრება ძირში. მოსავალი აუცილებლად მშრალ ამინდში უნდა ავიღოთ.



ual kohol o sasmel ebi s gamofena Tbilisi

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით 3 აპრილს, თბილისში, სახუმრო „რედისონში“ „ქართული მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების გამოფენა გაიმართა, სადაც 16-მა ქართულმა კომპანიამ: „ავაგომა“, „ყაზბეგმა“, „კასტელმა“, „კულამ“, „ნაბეღლავმა“, „ბორჯომმა“, „კამპამა“, „საირმები“, „რაჭის წყაროებმა“, „ნატახტარმა“, „ბიოპროდუქტმა“, „შევებმა“, „ფლატემ“, „წყალი გუნდაურმა“, „სუფთა წყალი ბინულმა“, „ლალიძის წყლებმა“ წარმოადგინეს თავიანთი პროდუქცია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ეთერ ყამარაულის განმარტებით ასეთი გამოფენები ქართული პროდუქციის პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით ეწყობა. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი კომპანიები პროდუქციას მთლიანად ქართული ნედლეულით აწარმოებენ.

— ასეთი ღონისძიებებით — ამბობს ქალბატონი ეთერი — ჩვენ ხელს ვუწყობთ ქართული ბრენდების პოპულარობის გაზრდას, ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, თუმცა, ძალზე მნიშვნელოვანია, საქართველოს მოსახლეობაში იცოდეს, რა პროდუქცია იწარმოება ჩვენს ქვეყანაში.

გამოფენაში მონანილეობდნენ, როგორც ძველი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ბრენდები, ისევე ახალი ფირმები, მაგალითად: მინერალური წყლების კომპანია „წყალი გუნდაური“, რომელიც მთიან აჭარაში, ქედის რაიონის სოფელ გუნდაურში მოიპოვება. ეს ცნობილი სამკურნალო წყალია და ორგანიზმში შექრის რეგულირებას უწყობს ხელს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე მინერალური წყლები: „ფლატე“, „საირმე“, „რაჭის წყაროები“, „ბინული“, ასკილის წვენის მნარმოებელი კომპანია, რომელსაც წელს ლონდონში გამართულ გა-



მოფენაზე საუკეთესო სამკურნალო თვისებების პროდუქტის დიპლომი აიღო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ხატია წილოსანის განმარტებით, გამოფენას უამრავი დამთვალიერებელი ეწვია, მათ შორის იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

უცხოელების მხრიდან დაინტერესება ძალიან დიდია. ასეთი გამოფენები და აქ უცხოელი სტუმრების სიმრავლე, სწორედ ინფორმაციის გავრცელებასა და ქართული ბრენდების პოპულარიზებას ემსახურება. ქართული კომპანიებისთვის ეს კარგი რეკლამა, რადგან გამოფენაზე მათ თავიანთი პროდუქციის სრულად წარმოჩნდის საშუალება ეძღვევათ.

როგორც ქალბატონი ხატია ამბობს,

სამინისტრო გეგმავს, ის პროდუქცია, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე საკმაოდ პოპულარულია, საზღვარგარეთ გაიტანოს და მონანილეობა მიიღოს საერთაშორისო გამოფენებში, რათა ისინი ასევე პოპულარულები და ცნობილი გახდნენ უცხოეთის ბაზრებზეც. ამისთვის კომპანიების პიარ-მენეჯერები მოწვეულ სტუმრებს: დიპლომატებს, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, დაწვრილებით უხსნიდნენ ამა თუ იმ ბრენდის წარმომავლობას, მის გამაჯანსაღებელ თუ სამკურნალო თვისებებს.

ასეთი გამოფენები, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით სხვადასხვა პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების მონანილეობით ყოველთვიურად იმართება: მარტში ქართული ტკბილეულის გამოფენა გაიმართა, უახლოეს მომავალში.

mariam lebanize



sazogadoebrivi kol ej i `aisi - 2012 wl is i anvidan acxadebs mi Rebas Semdeq profesiul -saganmanati ebl o programebze

sabi uj eto seqtori

გიდი (I, II, III საფეხური)
ტუროპერატორი (აგრო, ეკო და
ა.შ.) (III, IV, V საფეხური)
სასტუმრო საქმის მწარმოებელი
(III საფეხური)
სარესტორნო საქმის მწარმოებელი
(I, II, III საფეხური)

მეღვინე (I, II, III, IV, V საფეხური)
მევნახე (II, III, IV, V საფეხური)
მეფუტკერე (II, III საფეხური)
კეტერინარული მომსახურების
სპეციალისტი (III, IV, V საფეხური)
ხილ-ბოსტნეულის პირველადი
გადამმუშავებელი (II, III საფეხური)
მზარეული (I, II, საფეხური)

კალატოზი (II, III საფეხური)
მეფილე-მომბირკეთებელი (II, III
საფეხური)
მეპათქაშე (II, III საფეხური)
დურგალი (II, III, IV, V საფეხური)
ელექტრიკოსი (II, III საფეხური)

მისამართ.: გურჯაანი, კაჭრეთი. საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“

577 55 71 45; 8 790 110 120;
www.kachreti.vet.ge
www.prof.ge

სავალი ნაწილის ტექნიკოსი (II, III

საფეხური)
ძრავის შემკეთებელი (II, III საფეხური)
ტრაქტორისტ-მემანქანე (II, III
საფეხური)

კომპიუტერული ქსელების და სის-
ტემების ტექნიკოსი (III საფეხური)

ფარმაცევტის თანაშემწე (V სა-
ფეხური)

arasabi uj eto (fasiani) seqtori

დეპორატიული და გამოყენები-
თი ქსოვილების სპეციალისტი (I, II,
III საფეხური)

თექის ხელოსანი (III საფეხური)
ექთნის თანაშემწე (III საფეხური)

სწავლების პერიოდში სტუდენ-
ტები უზრუნველყოფილი იქნებიან

სტუდენტური საერთო საცხოვ-
რებლით

vir i ar gamodgeba?

ცნობილი მსახიობი დევრიენტი
ბერლინის თეატრში შექსპირის პი-
ესაში „რიჩარდ III“ რიჩარდის როლს
ასრულებდა.

როგორც კი ნარმოთქვა სიტყვა:
„ცხენი! ცხენი! მთელს ჩემს სამეფოს
ერთ ცხენში გავცვლი! – ბოლო იარუ-
სიდან გაისმა ყვირილი:

– ვირი არ გამოდგება?

– როგორ არა, ჩამობრძანდით ქვე-
მოთ! – მაშინვე დაეთანხმა მსახიო-
ბი.

ukvdaveba

ერთხელ პიკასოს ექიმმა უთხრა:

– თავს უფლებას ვერ მივცემ ვიმ-
სჯელო თქვენი ნახატების ფერნე-
რულ ღირსებებზე, მაგრამ სურათზე
გამოსახული ადამიანები, ანატომიის
თვალსაზრისით, ყველა ნამდვილად
ავადმყოფია.

– მიუხედავად ამისა ექიმო, ისინი
გაცილებით მეტ ხანს იცოცხებენ,
ვიდრე თქვენი პაციენტები, – უპასუ-
ხა მხატვარმა.

cercvi Tu cecxi i

ერთხელ მღვდელი თავზე წაეს-
წრო ცოლს, კუროს რომ ეტრფი-
ალებოდა, დაავლო კეტს ხელი და
შეუტია. კურო სარკმელში შევარ-
და, მღვდელი გამოუდგა და მორთო
ლრიალი: დაიჭირეთ, ნუ გაუშვებთ
მაგ ქურდს, მაგ ავაზაკსო! მოგროვ-
და ხალხი და შეაკავეს გაქცეული,
რომელსაც ბალში გაქცევის დროს
რამდენიმე ცერცვი მოეგლიჯა და
მუჭში ეჭირა. ხალხმა ჰკითხა: – რა
ამბავია? – როგორ რა ამბავია! – ხუ-
ცის ბალში ეს ერთი მუჭა ცერცვი
მოვალიჯა და ამისთვის მომდევს
მოსაკლავად, აღარ მზოგავს და
მიშველეთო. ხალხს გაუკერდა, ის
გაუშვა, გადაეღობა წინ მღვდელს
და დაუწყო საკვედური: მღვდელო
როგორ გეკადრება უბრალო რამე-
ზე მოთმინების დაკარგვა? ერთი
მუჭა ცერცვისთვის კაცი ვის მოუკ-
ლავს, რომ შენ მოგაკვლევინოთო!...
მღვდელი ოჯახის შერცხვენას მოე-
რიდა, რაც მოხდა ველარ გაამხილა,
წაიშინა თავში ხელი და აღრიალდა:
შვილები, ვინც არ იცის – ცერცვია,
მაგრამ ვინც იცის – ცერცლია! –
და გაბრუნდა სახლისკენ.

Vazi s mavnebl ebi, გავაცელი და მარიან brZol i s meTodebi



**მეურნეულისთვის, ვისაც ვაზი აქვს
და ყურძენი მოჰყავს, მაგნებელ-და-
ვაფებებისგან ვაზის დაცვას, მათთან
ბრძოლის ეფექტისანი მეთოდების
ცოდნას, განსაკუთრებული მნიშვნე-
ლობა აქვს.**

ჩვენში მავნებლებიდან განსაკუთ-
რებით გავრცელებულია ყურძნის
ჭია, ფარიანები, ტყიბები, ხოლო და-
ავადებიდან: ვაზის ჭრაქი, ნაცარი და
ყურძნის სიდამპლე.

ყურძნის ჭია – წელინადში იძლევა
სამ თაობას, პირველი თაობის მატლი
ვაზის ყვავილების ნაწილებით იკვე-
ბება, მეორე თაობა ისრიმს აზიანებს,
ყურძნის ზედაპირზე ამოქამს ღრმუ-
ლებს და შიგ ძვრება, მესამე თაობის
მატლი ყურძნის შეთვალების შემდეგ
ვითარდება, ამ დროს დაზიანებული
ყურძნის მარცვლიდან უხვად გად-
მოედინება მოტკბი წვენი, რაზედაც
სიდამპლის გამომზევი სოკოები ინ-
ტენსიურად მრავლდება.

ყურძნის ჭია ჭუპრობის ფაზაში ვა-
ზის ძირზე და ნიადაგში, ფესვის ყელ-
თან იზამთრებს, გაზაფხულზე გა-
მოზამთრებული ჭუპრიდან პეპელას
გამოფრენა იწყება აპრილის თვეში,
შეჯვარების შემდეგ კვერცხებს ყრი-
ან ყვავილედის ნაწილებზე, ხოლო მე-
ორე და მესამე თაობა – მტევნებზე.

ყურძნის ჭიას ვაზის გასხვლის შემ-
დეგ შტამბის ჩამოფხევით უნდა ვებ-
რძოლოთ, რის შემდეგაც ვაზთა შო-
რის საჭიროა ნიადაგის დამუშავება
(დაბარვა, დახვნა). ამ ღონისძიებით
მოზამთრე ჭუპრები ისპონა. შემდეგი
ღონისძიება კვირცების დაბერვისას
ფერომონული დამჭერების დაკიდება.

კოლექტიურ ბალში
600 კვ. მეტრზე საკმა-
რისია 3-5 ცალის ერ-
თმანეთისგან თანა-
ბარი მანძილით გან-
ლაგდეს. დამჭერები
უნდა შემონმდეს
2-3 დღეში ერთხელ

და თუ წებო დაფარულია მავნებლის
პეპლებით, იგი უნდა განახლდეს. მიკ-
რობილობიური პრეპარატებიდან
გამოიყენება დენდრობაცილინი, ბაქ-
ტოქსინაცილინი, ლეპოდოციდი და
სხვა. უფრო ეფექტისანია ახალგაზრდა
მატლების მიმართ 5%-იან კონცენტ-
რაციები შესხურდეს.

vazi s gavrcel ebui i fari anebi

– მათგან უფრო მეტად გავრცელებუ-
ლია ვაზის ფერილისებრი ცრუფარია-
ნა და იმერული ბალიშა ცრუფარიანა.
პირველი წელინადში სამ თაობას იძ-
ლევა, მეორე – ერთ თაობას. დაზია-
ნების ფორმები ერთნაირი აქვს, ვა-
ზის ორგანოებიდან წვენს და მასში
გახსნილ საკვებ ნივთიერებებს წუნ-
ნიან. დასუსტებული ვაზი კნინდება,
ყლორტები ვერ ასწრებს მომზიფებას
და ადგილად იღუპება. კვების პრო-
ცესი უხვად გამოყოფენ წებოს-
მაგვარ სითხეს, რომლითაც ვაზის
მინისზედა ორგანოები იფარება. გა-
მოყოფილ სითხეზე უხვად სახლდება
სიშავის გამომზევი სოკო, რომელიც
აფერხებს ვაზის სასიცოცხლო პრო-
ცესებს, ხოლო ყურძნის მოსავალი
კარგავს სამეურნეო ღირებულებას.

ფარიანებთან ბრძოლა იწყება ადრე
გაზაფხულზე შტამბის ჩამოფხეკით,
ისეთივე წესით, როგორც ყურძნის
ჭიის შემთხვევაში. იმერული ბალიშა
ცრუ ფარიანას საკვერცხე ჩანთების
შეგროვება და მოსპონა კარგ შედეგს
იძლევა.

ბიოლოგიურ მეთოდიდან გამოიყე-
ნება მტაცებელი ხოჭოს კრიპტოლე-
მუსის ვენახში გაშვება. ერთ ვაზზე
საკმარისია 10-15 ცალი ხოჭოს გაშ-

ვება, უმჯობესია კვერცხის ფაზაში.
ადრე ერიპტოლემუსს ამრავლებდნენ
თელავში, გურჯაანში, სოხუმისა და
ბათუმში, დღეს ასეთი მუშაობა თით-
ქმის აღარსად მიმდინარეობს.


ვაზის ფერილისებური ცრუფარია-
ნას წინააღმდეგ გამოიყენება აგრეთ-
ვე ფერომონული დამჭერები. მისი და-
კიდების წესი და რაოდენობა იგივეა,
რაც ყურძნის ჭიის შემთხვევაში. და-
სასავებია ერთ დამჭერ მოწყობილობა-
ში მოთავსდეს ორივე მავნებლის ფერ-
მონის პრეპარატული ფორმა.

ვაზის აბლაბუდიანი ტკიპა ზამთ-
რობს ვაზის მინისზედა ორგანოებზე,
ქერქის ქვეშ, გაზაფხულზე გადადის
ახალგაზრდა ყლორტებზე და იქვე
იწყებს კვერცხების დაყრას. კვერცხი
თავსდება ფორთლის ქვედა მხარეზე
და შემდეგ იფარება აბლაბუდას ქსე-
ლით. აზიანებს ფორთოლს ზედაპირი-
დან წვენის ამონუნგნის შედეგად.

ბრძოლის ღონისძიება ადრე გა-
ზაფხულზე შტამბის ისეთივე წესით
ჩამოფხეკა, როგორც ეს წინა მავნებ-
ლების შემთხვევაში გირჩიეთ.


თუ მავნე ტკიპების გამოზამთ-
რებული პოპულაცია ძალზე დიდია,
მაშინ ვაზზე რომელიმე ეფექტიანი
პრეპარატი უნდა შესხურდეს.

ბიოლოგიური საშუალებებიდან
კარგ ეფექტს იძლევა ვაზზე მათი ბუ-
ნებრივი მტრის ტკიპა მეტასელუსის
გაშვება. იგი მტაცებელი ტკიპა და
იკვებება მავნე ტკიპებით. ადრე მათ
ამრავლებდნენ გორისა და გურჯაა-
ნის ლაბორატორიებში.



Wrəqı ვაზის ყველა მწვანე ორგა-
ნოს აავადებს, უფრო საშიშია ყვავი-
ლობის პერიოდში. დაავადების პირ-
ველ ხანებში ფოთოლზე მოყვითალო
ფერის ლაქები ჩნდება. შემდევ ლაქა
ხმება და მისი ქვედა მხარე თეთრი
ფიფქით იფარება. ეს ფიფქი წარმო-
ადგენს ჭრაქის გამრავლების ორგა-
ნოს, რომელიც მიღიონობით სპო-
რას, ანუ თესლს შეიცავს. სპორები
ქარის მეშვეობით ადვილად ვრცელ-
დება.

ქრაქის საწინააღმდეგოდ იყენებენ კუპროზანის 0,5%-იან და ბორდო-ული სითხის 1%-იან ნაზავს. მოყვარულმა მებაღემ უპირატესობა ბორდულ სითხეს უნდა მიანიჭოს. იგი ადამიანის მიმართ ნაკლებ ტოქ-სიკურია და ყველა მცენარის დაავადების მიმართ გამოიყენება. პირ-



ველი წამლობა იწყება ყვავილობის
წინ და შემდეგ ყვავილობისთანავე,
დანარჩენები - ყოველ 7-10 დღეში
ერთხელ.

ნაცარი აავადებს ვაზის ყველა მწვა-
ნე ორგანოს. ფოთლებს ორივე მხარეს
უჩნდება პატარა ლაქები, რომლებიც
შემდეგ მღვრიე ნაცრისფერი ფიფ-
ქით იფარება. დაავადებული ფოთო-
ლი ხმება, მეტად საშიშია ყვავილე-
ბის დაავადება. ყურძნის მარცვლე-
ბი ავადდება გამოხორბვლისთანავე
და ისრიმის პერიოდში. დაავადება
ადგილი შესამჩნევია, რადგან ყურ-
ძნის ზედაპირი იფარება ნაცრისფე-
რი ფიფქით. დაავადებული ყურძნის
კანი სქელდება, ნაკლებ ელასტიური
ხდება და ზრდის პროცესში ადვილად
სკდება.

yurZni s si dampi e – ხშირია ტენიან ამინდში, მეტადრე ყურძნის ჭით დაზიანების შემდეგ. სიდამპლე ძნელად ვითარდება იმ მტკვნებზე, რომელთაც მზე ასხივებს. ამიტომ კარგ პროფილაქტიკურ ღონისძიებას წარმოადგენს ყვავილედის ზონაში ყვავილობის დაწყების წინ ფოთლის გამეჩხერება და სხვა მწვანე ოპერაციების დროულად ჩატარება.

xexil is rekomendebull i da
perspeqtivul i j iSebis mokl e
biol ogiur-sameurneo daxasiaTeba



vaSI is j i Sebi

გოლდფენ დელიშესი – ამერიკული ჯიშია, ნაპოვნია მე-19 საუკუნეში შემთხვევითი თესლნერგის სახით. ცნობილია ამ ჯიშის მრავალი კლონი, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია გოლდფენ სმუთი, გოლდდენ ბი, გოლდფენ რეინდერსი, გოლდსპური და სხვა. ხე საშუალო ზრდისაა, მალე შედის მსხმოიარობაში, მაღალ-მოსავლიანია, მოითხოვს ნაყოფების დანორმებას. ნაყოფი ყვითელი ფერისაა, კონუსური, საშუალო ან დიდი ზომის, ხასიათდება საუკეთესო საგე-მოვნო ოვისებებით, იკრიფება სექტემბრის ბოლოს, ან ოქტომბრის დასაწყისში, ინახება აპრილ-მაისამდე, მაღალპროდუქტული ჯიშია, რეკომენდებულია სამრეწველო მეხილეობის ზონისთვის.

ზამთრის ბანანი – ამერიკული ჯიში. ხე საშუალო ზრდისაა, მაღალმოსავლიანია, ნაყოფი ყვითელი ფერის, მრგვალი, მზის მხარეს ალისფერი ლოყით, საშუალო ან დიდი ზომისაა, აქვს დამახასიათებელი არომატი, ხასიათდება საუკეთესო საგემოვნო თვისებებით, იკრიფება სექტემბრის ბოლოს – ოქტომბრის დასაწყისში, ინახება მარტ-აპრილამდე. მაღალპროდუქტიული ჯიშია, რეკომენდებულია სამრეწველო მეზილეობის ზონებისათვის.

კეუზა – ადგილობრივი ჯიშია. ამ ჯიშის მრავალი კლონია ცნობილი, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია გოლდენ სტუტი, გოლდენ ბი, გოლდენ რეინდერსი. ხე ძლიერი ზრდით ხასიათდება, მსხმოიარობას იწყებს გვიან, მაღალმოსავლიანია,

სასიათდება მეწლეობით. აქეს მრგვა-
ლი, მსხვილი, საშუალო საგემოვნო
თვისებების წითელი ნაყოფი, იკრი-
ფება ოქტომბრის ბოლოს, კარგად
ინახება მაის-ივნისამდე. მაღალპრო-
დუქტიული ჯიშია, რეკომენდდებულია
სამრეწველო მეხილეობის ზონების-
თვის.

ივერია – ქართული სელექციური ჯიშია (აგტორი თ. ცერცვაძე). ხე სა-შუალო და dლიერი ზრდისაა, ხასი-ათდება მენლეობით. აქვს მრგვალი, მსხვილი ნაზი რბილობი, ცხიმიანი კანი, წენიანი, მომჟავო-მოტკბო გე-მოს ნითელი ფერის, სამუალო სა-



გემოვნო თვისებების მქონე ნაყოფი. იკრიფება ოქტომბრის ბოლოს, კარგად ინახება მაის-ივნისამდე, მაღალპროდუქტიული ჯიშია. რეკომენდდებულია სამრეწველო მეხილეობის ზონებისთვის.



ბა სექტემბერის ბოლოს, ოქტომბრის დასაწყისში. ინახება აპრილ-მაისამდე. რეკომენდებულია სამრეწველო მეხილეობის ზონისთვის.

ქართული სინაპი – ადგილობრივი ჯიშია. საქმაოდ დიდი ხე იზრდება, გვიან ისხამს, უხვმოსავლიანია. აქვს მოგრძო-ცილინდრული ფორმის, მწვანე ფერის, მზის მხარეს უოლოს-ფერ-წითლად შეფერილი, შებრტყელებული, საშუალო ზომის ნაყოფი. იკრიფება ოქტომბრის მეორე ნახევარში, ინახება აპრილ-მაისამდე. რეკომენდებულია სამრეწველო მეხილეობის ზონისთვის.

რედ დელიშესი – ამერიკული ჯიშია, ნაპოვნია მე-19 საუკუნეში თესლ-ნერგის სახით. ცნობილია ამ ჯიშის მრავალი კლონი, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია სტარკიმსონი, რედ ჩიფი, სტარკ დელიშესი და სხვა. ხე სუსტი ზრდისაა, მაღლე შედის მსხმიარობაში, მაღალმოსავლიანია, მოითხოვს დანორმებას, ნაყოფი ნითელი, სრულ სიმწიფეში მუქი ისუფერია, კონუსური, საშუალო ან დიდი ზომის, ხასიათდება საუკეთესო საგემოვნო თვისებებით, იკრიფება სექტემბრის ბოლოს, ინახება მარტ-აპრილამდე.

msxl is j i Sebi

ვილიამსი – სინონიმი „სუნიანი მსხალი“, ინგლისური წარმოშობის ჯიშია, ხე საშუალო ზრდისაა, ნაყოფი იკრიფება აგვისტოს დასაწყისში. ნაყოფი მსხვილი, მოგრძო, მსხლი-სებრი ფორმის, კანი თხელი, სრული, სიმწიფეში იღლის ბოლოს და მაშინვე მოიხმარება. ნაყოფი საშუალო, ტიპური მსხლისებრი ფორმის, კანი თხელი და ნაზი, მომწვანო-მოყვითალო ფერის, რბილობი წვრილმარცვლიანი, მდნარი, სასიამოვნო სიტკბოს-სიმუჟის. ჯიში რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს სამრეწველო მეხილეობის რაიონებში გასავრცელებლად.



თელ ფერს, აქვს რბილობი თეთრი, მდნარი, სასიამოვნო სიტკბო (მოტკ-ბო-მომჟავო) გემო. ინახება 2-3 კვირა. ჯიში რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს სამრეწველო მეხილეობის რაიონებში გასავრცელებლად.

გულაბი – ადგილობრივი ჯიშია, აერთიანებს სხვადასხვა ფორმებს – მესხური გულაბი, ქართლური, ლეჩეუმური და ა.შ. ნაყოფი იკრიფება იღლისის ბოლოს და მაშინვე მოიხმარება. ნაყოფი საშუალო, ტიპური მსხლისებრი ფორმის, კანი თხელი და ნაზი, მომწვანო-მოყვითალო ფერის, რბილობი წვრილმარცვლიანი, მდნარი, სასიამოვნო სიტკბოს-სიმუჟის. ჯიში რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს სამრეწველო მეხილეობის რაიონებში გასავრცელებლად.

ბერნე-არდანპონი – სინონიმი „კომშა მსხალი“, ძველი ბელგიური

ჯიშია, ხე საშუალო ზრდისაა, ნაყოფი საშუალო, ზარისებრი ფორმის, ზედაპირი ბორცვიანი, ნახნაგოვანი, კანი – თხელი და გლუვი, რბილობი – მდნარი. ნაყოფი იკრიფება ოქტომბრის დასაწყისში.

ბერე-ბოსკი – სინონიმი „ალექსანდროული“, ფრანგული წარმოშობის ჯიშია, ხე საშუალო ზრდისაა, ნაყოფი იკრიფება სექტემბრის შუა რიცხვებიდან, ნაყოფი მსხვილი, მსხლისებრი ფორმის, კანი – თხელი, დაფარული უანგაროთი, სრულ სიმწიფეს იღებს მუქ ყვითელ შეფერვას, რბილობი თეთრი, ტკბილი, სასიამოვნო, სურნელოვანი. ჯიში რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს



მეხილეობის რაიონებში გასავრცელებლად.

**zviad boboqaSvi l i,
kukuri Zeria**

090დება



შინვალის წყალსაცავის ქვედა ბიეფში, სოფელ ძველ უინვალში, იყიდება ინვენტარითა და მოწყობილობებით სრულად დაკომპლექტებული საკალმახე მეურნეობა. სამუშაოების უმეტესი ნაწილი შესრულებულია. წელიწადში შესაძლებელია 60 000 კგ. კალმახის წარმოება. წყლის დებეტი და ტერიტორიის მოცულობა წარმადობის მინიმუმ თრჯერ გაზრდის საშუალებას იძლევა.

საკონტაქტო ტელეფონი:
577 43 33 30



efeqtiani mekartofili eoba

საქართველოში კარტოფილის ნარმოების დაბალი დონის ერთ-ერთი მიზეზი სათანადო, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მექანიზაციის უკმარის სობაა, თუმცა, ბოლო წლებში ამ მხრივ გარევეული ნინძვლა მაინც შეინიშნება.

დღეს მსოფლიო კარტოფილის სანარმოებლად მაღალტექნოლოგიურ მანქანა-დანადგარებს (თვითმავალ კომბაინებს, მძლავრ ტრაქტორებს, მაღალი ტყირთამნების სატრანსპორტო საშუალებებს, თანამედროვე სათესებს, კულტივატორებს და ა.შ.) იყენებს, ამასთანავე კარტოფილის სელექციას და უხვმოსავლიანი ფორმების მიღებას დიდი ყურადღება ეთმობა.

ევროპაში დღეს კარტოფილი ძირითადად სპეციალიზებულ მეურნეობებში მოჰყავთ, ეს ტენდენცია, თანდათან, მთელს მსოფლიოში ვრცელდება. ყოველივე ზემოხსენებულმა ევროპელებს საშუალება მისცა, რომ კარტოფილის საშუალო საპექტარომოსავლიანობა 370 ცენტინარმდე გაეზარდათ. ამასთან, აქ მონეული მოსავლის 30-40% მინდვრიდან პირდაპირ გადამუშავებელ ნარმოებას მიეწოდება, რაც დანაკარგს მინიმუმადე ამცირებს.

კარტოფილის მოყვანის და შენახვის მსოფლიო პრაქტიკში მნარმოებების მიერ სამანქანო ტექნოლოგიების გამოყენება ხდება მანქანების და აგრეგატების არსებული მოდიფიკაციებიდან, ისეთი კონფიგურაციის კომპლექტის შექმნით, რომელსაც საუკეთესო შედეგის მოტანა შეუძლია. ამასთან, როგორც წესი შეფასების კრიტერიუმებია; კარტოფილის მოსავლიანობა და ხარისხი, ნარმოების რენტაბელობის დონე, ყველა ტექნოლოგიური ოპერატორის ოპტიმალურ აგროტექნიკურ ვა-

დებში შესრულების შესაძლებლობა.

დაბალი და საშუალო ნარმადობის სპეციტექნიკის კომპლექტები სასურველია ისეთი მეურნეობებისთვის, რომლებსაც კარტოფილი 10 დან 50 ჰა-მდე ფართობზე მოჰყავთ. მაღალი ნარმადობის ტექნიკა სასურველია 50 ჰა-ზე მეტ ფართობზე მომუშავე მეურნეობებისთვის, ხოლო ისეთი მეურნეობებისთვის, რომლებსაც კარტოფილი 70 ჰა-ზე მეტ ფართობზე მოჰყავთ, სასურველია თანამედროვე სასაწყობე მეურნეობის ქონა, აღებული მოსავლის დიდი ხნით შესანახად.

კომპანია GRIMME-ს (გერმანია) სპეციალისტებმა კარტოფილის და პისტნეულის MAXI-bett-ის ტექნოლოგიით მოსაყვანი მანქანა-დანადგარების კომპლექტი შეიმუშავეს. აღნიშნული ტექნოლოგიით, კარტოფილი 3 რიგად წინასწარ მომზადებულ 2.7მ. სიგანის კვალზე ითესება. ამისათვის შემუშავდა კვალის გამყვანი BF270, ნიადაგის სეპარატორი (ფრეზი) CS240 და RT280, კარტოფილის სათესი GL33T და ელევატორული ტიპის კომბაინი GT300. ყველა ზემოხსენებული მანქანის სატრანსპორტო სიგანე 3.3მ-ს არ აღემატება. კვალზე კარტოფილის ორ რიგად დათესვის ტექნოლოგიასთან შედარებით ახალი ტექნოლოგია თითოეული მანქანის პროდუქტიულობის - 50%-ით, ხოლო ნათესის სასარგებლო ფართობს 10%-თ ზრდის.

კარტოფილის მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიებში მძლავ-

რი ტრაქტორები გამოიყენება, რაც აგრეგატის ერთ გავლაზე სამი ბაზოს გაკეთების და ექვსრიგიანი სათესების გამოყენების საშუალებას იძლევა. აღნიშნული სათესები კარტოფილის თესვისას მაღალ ბაზოს აკეთებენ. დღეს განვითარებული მეკარტოფილების მეურნეობები უპირატესობას ბაზოზე თესვის ტექნოლოგიას ანიჭებენ. ზემოხსენებულ ტექნოლოგიას მინიმუმადე დაჲყავს რიგთაშუა დამუშავების რაოდენობა, რიგებს შორის მანძილი გაზრდილია 75-90სმ-მდე, ხოლო სარეველებთან ბრძოლოსთვის ჰერბიციდები გამოიყენება.

აღსანიშნავია Rowadest – წყლის ვანის სისტემიანი კომბაინის კონცეპცია, რომელიც კომპანია Klintworth-მ შემოგვთავაზა. კომპანია GRIMME-ს ერთობის კომბაინზე დამატებითი აგრეგატების დაყენებით შესაძლებელი გახდა ერთდროულად სამი ოპერატორის შესრულება: მოსავლის აღება, გარეცხვა და გაშრობა.

კარტოფილის ნარმოების ტექნოლოგიაში ზუსტი მიწათმოქმედების მეთოდების გამოყენება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. კომპანია GRIMME-მ დაიწყო კარტოფილის თესვის და ბაზოების გაკეთებისას GPS სისტემის გამოყენება, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო ოპერაციების პროდუქტიულობას. პოლანდიური კომპანია Agri 2.0-ს მონაცემებით ზუსტი მიწათმოქმედების სისტემის გამოყენება 20%-თ ზრდის მოსავლის და პროდუქციის თვითლირებულებას 20%-თ ამცირებს.

განვითარებულ ქვეყნებში ნიადაგის მინიმალურ დამუშავებაზე გადასვლის ტექნიკიამ, კარტოფილის მოყვანისათვის განკუთვნილ მანქანა-დანადგარებში გარკვეული ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს. მაგალითად, ამჟამად გერმანიაში იმ ფართობების წილი, რომლებიც მოხვნის გარეშე მუშავდება, სხვადასხვა რეგიონებში 25-60%-ს შეადგენს. დაწყებულია აღნიშნული მეთოდის კომპლექსური კვლევები მეკარტოფილეობაში გამოყენებისთვის, რასაც ევროკავშირში ეკოლოგიური კანონმდებლობის გამკაცრებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

რადგან ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიის გამოყენება ფიტოპათოგენური აქტივობის ზრდას იწვევს (რაც მნიშვნელოვნად იზრდება მულჩირების დროს), მღრღნელების პოპულაციის ზრდას, ბოლქვების მავთულა ჭიებით დაზიანების ხარისხს და სხვა არასასურველ შედეგს. უახლოეს მომავალში კარტოფილის მოყვანის ტექნოლოგიაში გარკვეული კორექტივების შეტანა აუცილებელი იქნება.

**მოამზადა
zaza nozaZem**

საინტერესო იცოდათ

namj aSi kartofil is moyvani s meTodi



ახლა მოგითხობთ მცირე ფართობებზე კარტოფილის მოყვანისთვის მივიწყებულ ტექნილოგიაზე – კარტოფილის ნამჯაში მოყვანის ნაკლებად ცნობილ მეთოდზე. ამ მეთოდით კარტოფილი საზღვარგარეთ პევრ მცირე მეურნეს მოჰყავს და მათი უმტესობა კარგი მოსავლითაც იწონებს თავს.

მართლაც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნაკლები შრომითა და მინიმალური მატერიალური დანახარჯებით შესაძლებელია საკმაოდ კარგი მოსავლის მიღება.

როგორც ცნობილია, კარტოფილის მოყვანა მეტად შრომატევადი საქმეა: ჯერ მიწა უნდა დამუშავდეს, გაფხვიერდეს, ნაკელი ან მინერალური სასუქი შევიდეს, კვლები გაეკეთდეს, დაითესოს, გაითოხნოს, რამდენჯერმე მოირწყას, შეინამლოს შესაბამისი პრეპარატებით, როგორც სარეველების, ისე მავნებლების მოსაპონად და ასე შემდეგ. არანაკლებ შრომატევადია მოსავლის აღების პროცესიც.

კარტოფილის ნამჯაში მოყვანის მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, ბევრი, თუ ყველასი არა, ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპის თავიდან აცილება შეიძლება.

ნამჯაში კარტოფილის მოყვანის მეთოდი ძალზედ მარტივია, ვიღებთ სათესლე კარტოფილის ბოლქვებს და ვაწყობთ მიწაზე (ნიადაგი შეიძლება იყოს დამუშავებულიც და დაუმუშავებელიც) 25-30სმ დაშორებით, ისევე როგორც ტრადიციულად ოესვის დროს, და ზემოდან ვაფენით 25-30 სმ. ნამჯის ფენას. ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე რიგის დაშორებით გაკეთებაც. თუ ძალიან ქარიან ადგილზე ვთესავთ კარტოფილს, ნამჯა რომ არ გაფანტოს ქარმა, შეგიძლიათ ზემოდან ხის ტოტები დაალაგოთ ან ნაპირებზე მიწის თხელი ფენა მიაყაროთ. შემოდგომამდე შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. როგორი ცხელი



ზაფხულიც არ უნდა იყოს, არ დაგჭირდებათ მორწყვა და არც სარეველებთან ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება. აუცილებელი იქნება მხოლოდ კოლორადოს ხოჭოს, ან (გამოჩენის შემთხვევაში) სხვა მავნებლების საწინააღმდეგო პრეპარატების გამოყენება.

შემოდგომაზე კარტოფილს გადავაცლით ნამჯას და ავიღებთ სუფთა და საღმოსავალს.

ზოგი ფერმერი ამბობს, რომ ამ მეთოდით ჰექტარზე (გადაანგარიშებით) 40 ტონა კარტოფილის მოსავალიც კი აუღია.



maski o-gaspardos SP xazis zusti Tesvis pnevmaturi saTsel ebi SARA, ST STELLA, SI SIMONA, SILVIA



**SARA, ST STELLA,
SI SIMONA, SILVIA –
PNEUMATIC SEEDING
MACHINES OF EXACT
SOWING FROM SP
LINE OF MASHCIO-
GASPARDO**

We continue introducing to our readers new technologies. This time we present technological abilities of SARA's, ST STELLA's, SI SIMONA's, SILVIA's series made by Italian company MASHCIO – GASPARDO. These pneumatic seeding-machines of exact sowing from SP line of the company are being introduced in Georgian agrarian sector. They increase Georgian farmers' chances to reach success considerably.

თანამედროვე სოფლის მეურნეობა მთლიანად უახლეს ტექნოლოგიებს ეფუძნება, რომლის გარეშე დღეს წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

საქართველოს სოფლის მეურნეობა ამ მხრივ ჯერ დიდად ვერ დაიკვეწის, მაგრამ ეტაპობრივად მაინც მიმდინარეობს სამანქანო პარკის გადაიარაღება, შემოდის უახლესი ტექნიკა და ტექნოლოგიები, რომელიც ფერმერულ მეურნეობებსა და სერვის ცენტრებში ინერგება.

ჩვენ ტრადიციულად ვაგრძელებთ მკითხველისთვის ახალი ტექნოლოგიების გაცნობას. დღეს წარმოგიდგენთ იტალიური კომპანია MMASHCIO – GASPARDO-s SP ხაზის ზუსტი თესვის პრევმატური სათესელების სერიის SARA-s, ST STELLA-s, SI SIMONA-s, SILVIA-s აგრეგატებს და მათ ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს.

MMASHCIO – GASPARDO-s აგრეგატების ჩამოთვალიში SP ელემენტი კომპანიის მრავალნიანი მუშაობის შედეგია. ეს არის დაცვენილი ტექნოლოგია, რომელიც კულტივირებულ ნიადაგებზე ზუსტი თესვისთვის არის განკუთვნილი.

ტექნიკური სიმარტივე, საიმედოობა და თესვის სიზუსტე მისი ძირითადი მახსასიათებლია.

სათესელები აღჭურვილია სხვადასხვა კონფიგურაციაზე გადასაწყობი ელემენტითა და ჩარჩოებით (ფიქსირებული, ტელესკოპური და მბრუნვავი), რომელთა გამოიყენება საჭიროებისამებრ, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება. ეს ელემენტი განკუთვნილია ასევე არასაქმარისად კულტივირებულ ნადაგში (ზედაპირზე გარკვეული რაოდენობის ნარჩენი მცუნარეების არსებობა) თესვის შემთხვევაში.

ნიადაგში კვალს რაშიც თესლი ვარდება, ჩამოთვალის პირი წარმოქმნის, თესვის სიღრმე კი პარალელოგრამის სისტემისა და მექანიკური ცილინდრით რეგულირებადი უკანა თვლების მეშვეობით რეგულირდება.

კონფიგურაციის შეცვლის დიდია არჩევანი სათესელებს შესაძლებლობას ანიჭებს, ჩასათვალის ელემენტი სხვადასხვაგვარ ნიადაგებსა და თესლებს მიუსადაგოს.

ექვსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფი განკუთვნილია სასურველ კონფიგურციაზე სათესელას სწრაფად და მარტივად გადასაწყობად.

გასპარდოს SP ხაზის ზუსტი თესვის პრევმატური სათესელების სასუქის მოსაბნევი სისტემა თავის ეფექტურობით გამორჩეულია.

მოცულობითი ჩამოთვალი აპარატი MINIMAX-i იოლად რეგულირდება და ფართობში სასუქის სხვადასხვა დოზით შეტანის საშუალებას იძლევა. მას ჰქეტარზე 50-დან 700 კილოგრამის ფარგლებში შეუძლია სასუქის განაწილება.

ამ ზანის სათესელები აღჭურვილია მიკროგრანული მოწყობილობების სისტემით. დამატებითი მიკროჩამოთვა აპარატი გამოიყენება გრანული რებული სასუქების ან ნიადაგის სადეზინფექციო საშუალების შესატანად.

განსაკუთრებით საყურადღებოა კვალ-ნარმომექმნელი მოწყობილობები. იმის მიხედვით თუ რა მოდელის სათესელა, ან რა აგრონომიული მოთხოვნილებია, ან ერიანი ჩამოთვალი, ორმაგი დისკით თუ სხვა ჩამოთვალი მოწყობილობის დახმარებით პირდაპირ კვალში შეიძლება სასუქის შეტანა.

აქვს დამუშავებული ფართობის ნაწილობრივი ან სრული აღრიცხვის სისტემა.

თესვის სიზუსტეს ყოველ რიგზე აკონტროლებს ელექტროსისტმა, რომელიც სარვეზის აღმოჩენისთანავე იძლევა ავ-არიულ სიგნალს. ყოველ კვადრატულ მეტრზე ზედმინებით უზრუნველყოფს თესვის სიმჭიდროვესა და თესლის რაოდენობის სიზუსტეს.

ამ სათესელებით სხვადასხვა კულტურების: სიმინდის, ხორბალის, ქერის, შერის, მზესუმზირის, რაფსის, ნესვის, საზამთროს, სოიას, ლობის, ნინიბრას, ჭარხალის, სორგოს და სხვა კულტურების მაღალი სიზუსტით თესვა შესაძლებელი.

firma CLAAS-i - sasofl o-sameurneo teqni kis mowi nave mwarmoebel i

FIRM CLAAS – THE CHIEF PRODUCER OF AGRICULTURAL TECHNIQUES IN THE WORLD

The company having native environment in every country

You can meet German agricultural techniques of firm CLAAS everywhere – in cornfields of France and Ukraine, in the fields of America and Chile, in reed and sugar beet plantations of Brazil and Zimbabwe, in rice fields of India and Taiwan.

CLAAS is one of the main producers of agrarian techniques in the world. 40 percents of combines sold in Europe are made by firm CLAAS. CLAAS is the world leader as the producer of self-propelled mowers.

In the article is told about the successes reached by CLAAS in the world by producing agricultural techniques. 8 000 persons are employed on work in the production offices of companies located in the whole world.

kompania romi isTvisac mTel i msofi io mSobi iuri garemoa

საფრანგეთისა თუ უკრაინის პურის ყანებში, ამერიკისა თუ ჩილეს მინდვრებში, ზიმბაბვესა თუ ბრაზილიის შაქრის ჭარბისა თუ ლერნის პლანტაციებში, ინდოეთისა თუ ტაივანის ბრინჯის ყანებში ყველან შეხვდებით გერმანული ფირმა CLAAS-ის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

CLAAS აგრარული ტექნიკის ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელია მსოფლიოში. ევროპაში გაყიდული კომბაინების 40% კი CLAAS-ის ფირმისაა, რომელიც კომბანიის მთავარ ოფისში, ვესტფალიაში, ქალაქ ხერთენინ კელში ინარმოება. ფირმა CLAAS-ი მსოფლიოში ასევე ლიდერია თვითმავალი სათიბელების წარმოებაში.

14 sawarmo punqt mTel s msofi ioSi

CLAAS-ის სამენარმეო ჯგუფს, რომელსაც შვიდი სანარმო გერმანიაში აქვს, ხოლო – შვიდი მის ფარგლებს გარეთ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ასევე წამყვანი ადგილი უჭირავს სასოფლო-სამეურნეო საპრესი და საკეპდამა-მამზადებელი მანქანების წარმოებაში.

ამის გარდა ფირმის პროდუქციას მიეკუთვნება სისტემური, სატრანსპორტო და ძალოვანი, გამზევი მანქანები, ასევე უახლესი სასოფლო-სამეურნეო საინფორმაციო ტექნოლოგიები.



CLAAS-ის სამრეწველო და ტექნიკის მწარმოებელი ქარხნები სხვადასხვა მოწყვილობებითა და უახლესი ტექნოლოგიური კომპონენტებით ამარაგებენ როგორც საკუთარ სამრეწველო ჯგუფის სანარმოებს, ისე საავტომობილო და საავიაციო ინდუსტრიას მთელს მსოფლიოში.

8000-ze meti TanamSromeli i

ბოლო 15 წლინადია ფირმა CLAAS-მა წარმოუდგენელი განვითარების ფაზები გაიარა. კომპანიის საქონელბრუნვა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან 500 მილიონი ევროდან დღემდე 2,35 მილიარდ ევრომდე გაიზარდა. ფირმა CLAAS-ში მთელ მსოფლიოში 8000-ზე მეტი თანამშრომელია დასაქმებული, ფირმის პროდუქციის დაახლოებით 70% გერმანიის ფარგლებს გარეთ ვრცელდება.

CLAAS-i traktorebi safrangeTidan

CLAAS-ის სამენარმეო ჯგუფის ნახტომისებური ზრდა 2003 წლიდან დაიწყო, მას შემდეგ რაც ფრანგული კომპანია Renault Agriculture შეიერთა და ამჟამად ფლობს თანამედროვე ტრაქტორების ფართო სპექტრს. სწორედ ამ პერიოდიდან სანარმოს საქონელბრუნვამ 600 მილიონ ევროს გადააჭარბა, ხოლო თანამშრომლების რაოდენობამ – 2000.

kombaini LEXION nebraska dan

გასული საუკუნის 90-იან წლებში გაიხსნა ახალი კომბაინების ქარხანა ქალაქ ომახში (ნებრასკის შტატში). დიდ ფერმერულ მიწებზე, მისურისთან ახლოს დაიწყო LEXION-ის მარკის კომბაინების წარმოება. სანარმო ამერიკის უმსხვილესი სახნავ-სათესი რეგიონის ცენტრში მდებარეობს.

კომბაინი LEXION-ი, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა მთელ ჩრდილო-ამერიკის ბაზარზე, შეღებილია ყვითლად და CAT (Caterpillar) საფირმო ნიშნით. მათი მომსახურება და რეალიზება ჩატერპილლარ-ის ქსელით წარმოებს.



qarxana samxreT ruseTSi

საიმისოდ რომ აღმოსავლეთ ევროპაში, უბირველეს ყოვლისა რუსეთში, ფირმის პროდუქციის რეალიზების დასარეგულირებლად, კომპანია CLAAS-მა ქალაქ კრასნოდარში კომბაინების ქარხნის მშენებლობაში 20 მილიონი ევროს ინვესტიცია განხორციელა. ბიზნესის წარმატებით განვითარების კვალობაზე უახლოეს წლებში ინვესტიციის 30 მილიონ ევრომდე გაზრდა ივარაუდება.

სარეალიზაციო და სერვის მომსახურების კარგად განვითარებული სისტემის წყალობით ფირმა CLAAS უკვე

დიდი პოპულარობით სარგებლობს სამხრეთ კავკასიაში. მას საქართველოში აქვს საკუთარი წარმომადგენლობა და სერვის-მომსახურების გამართული სისტემა.

kombai ni CLAAS „made in india”

CLAAS-მა ახალი სანარმო გახსნა ჩრდილოეთ ინდოეთში, პენჯაბის შტატში. ახალ ქარხანაში იწარმოება კომბაინები, რომელსაც რეზინის მუხლუხობი აქვს, ის სპეციალურადა შექმნილი ტენიანი რაიონებისა და ბრინჯის ყანებში სამუშაოდ. ინდოეთის გარდა ანალოგიურ მანქანებზე

დიდი მოთხოვნაა სამხრეთ კორეაში, ტაივანში, იაპონიაში. სანარმოო კომპლექსი განლაგებულია 9 ჰექტარზე, და ხოლო ინვესტიციის მოცულობამ უკვე დიდი ხანია 11 მილიონ ევროს გადააჭარბა. სანარმოში 300-ზე მეტი თანამშრომელია დასაქმებული.

2002 წლიდან ფირმა CLAAS-ი ფლობს კომბაინების ერთ ქარხანას ინდოეთში, ქალაქ ფაირბადარში, დედაქალაქ დელის მახლობლად. თავიდან ეს ფირმა CLAAS-ის და ინდურ koncern Escorts ერთობლივი წარმოება იყო, მაგრამ შემდეგ იგი მთლიანად გერმანული კომპანიის მმართველობაში გადმოვიდა.

მოსახლეობის მატების მაღალი ტემპი და ინდოეთის ხელისუფლების მყარი პოზიციაა ქვეყანაში განავითაროს აგრარული სექტორი. აქ სულ უფრო იზრდება სასოფლო-სამეურნეო მანქანების გასაღების ბაზარი. ფირმა CLAAS-ი კი ამ ბაზარზე ერთერთი ლიდერი კომპანიაა.

ფირმა CLAAS-სს აქვს მოდერნიზებული GPS სისტემა, რომელიც ფირმის საკუთარი კოსმოსური სატელიტური სადგურიდან იმართება.

**მოამზადა
nodar bregvazem**

თანამშრომლობა



Batum and Ternopil are partner cities. Such document was signed by Mayor of Ternopil city Sergey Nadal and Mayor of Batumi Robert Chkhaidze. Ternopil cooperates with Georgia in different directions and is the important partner in the field of agriculture. From Ternopil region has been sent to Georgia Ukrainian grain of high quality. For this time Ternopil Regional Council prepared an agreement about the collaboration between Ternopil region and Autonomous Republic of Adjara. We had a talk about new cultural, business and diplomatic forms of partnership between Ternopil and Batumi with Chairman of Ternopil Regional Council Oleksiy Kayda.

The talk was held by Tamta Guguhvili

ukraina - saqarTvel os saimedo partnori

ბათუმი და ტერნოპილი (დასავლეთ უკრაინა) მოძმე ქალაქები არიან. შესაბამის დოკუმენტს ქალაქების ბათუმისა და ტერნოპილის მერებმა სერვენი ნადალმა და რობერტ ჩხაიძემ ხელი გასული წლის 29 აგვისტოს მოაწერეს. ტერნოპილი უკვე დიდი ხანია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან სხვადასხვა მიმართულებით. ეს რეგიონი სოფლის მუურნეობის სფეროში საქართველოს სამედიდ პარტნიორია, რომელიც ხარისხიან ხორბალს აწვდის ქვეყანას. ტერნოპილის ოლქის საბჭოს უკვე მომზადებული აქვს ახალი შეთანხმება ტერნოპილის რეგიონსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის შესახებ. ამ თემაზე

ტერნოპილის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ოლქებს კაიდა გვესაუბრება.

– ბატონო ოლქებს, ბათუმი და ტერნოპილი დამტობილებული ქალაქები არიან. რა ფორმის თანამშრომლობა ხორციელდება მათ შორის?

– საქართველო და უკრაინა უკვე დიდი ხანია კარგი პარტნიორები არიან, რომლებიც რთულ პერიოდში ყოველთვის მხარს უჭერენ ერთმანეთს. ჩვენს შორის უკვე დამყარდა მტკიდრო კავშირი. გვინდა, გავაგრძელოთ ეს ტრადიცია და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ტერნოპილის ოლქს შორის ინტენსიურ თანამშრომლობას შევუწყოთ ხელი.

- რა თანამშრომლობას გულისხმობს ეს პროექტი, რომის ხელმოწერაც იგეგმება?

- როგორც უკრაინა, ისე – საქართველო, ორი ევროპული ქვეყანაა, რომლებიც ევროკავშირში განევრიანებისკენ ის-ნაფვიან. ამ მიზნის მიღწევა, ვფიქრობ, ერთად უფრო ადვილია. თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ასპექტი იქნება კულტურული ღირებულებების გაცვლაც. ვგულისხმობ ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივების ვიზიტებს საქართველოში, ქართული დელეგაციების ჩამოსვლას უკრაინაში. სხვათა შორის, შარშან ტერნიპილში ერთ-ერთ ფესტივალზე მსმენელთა წინაშე ქართული შემოქმედებითი კოლექტივები წარსდგნენ და უკრაინულ ენაზე ძველი უკრაინული სიმღერა „ჩერვონა რუტა“ შეასრულეს. ფეხზე მდგარი დარბაზი დიდ ხანს უკრავდა მათ ტაშს. ეს ჩვენი ორი დიდი ხალხის, უკრაინელების და ქართველების ურთიერთდამოკიდებულებაზე მეტყველებს. პროექტში გათვალისწინებულია ასევე ტერნიპილსა და აჭარას შორის სტუდენტების გაცვლა. ჩვენს ქალაქში 30 000 მეტი სტუდენტი სწავლობს. ვფიქრობ, მათი წანილი სიამოვნებით გაემზარება საქართველოში იმის სანახავად, თუ როგორ ხორციელდება საქართველოში რეფორმები.

- ბიზნესის სფეროში თუ გეგმავთ თანამშრომლობას?

- რასაკვირველია, ქართველი და უკრაინული ბიზნესმენების ურთიერთობის გაღრმავება, მათი ხელსაყრელი თანამშრომლობისთვის, მნიშვნელოვანი ფაქტორია. აჭარის რეგიონში კარგი საინვესტიციო პირობებია, რათა ჩვენმა ბიზნესმენებმა შეძლონ საქართველოს ბაზარზე შესვლა. ჩვენის მხრივ, ქართველ ბიზნესმენებს ვთავაზობთ, ინვესტიციები ჩადონ უკრაინაში, კერძოდ ტერნიპილის რეგიონში. უკრაინული ფირმა „მრია“ საქართველოში უკვე ახორციელებს ხორბლის ექსპორტს. როგორც ვიცი, ქართული მხარე, კმაყოფილია ამ ხორბლის ხარისხით. თანამშრომლობის პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია ტერნიპილისა და საქართველოს ბიზნესმენებს მორის.

- ტერნიპილში უკვე მოქმედებს „ტურისტული ინფორმაციული ცენტრი ბათუმი“. რა არის ამ ცენტრის სტრატეგია?

- როგორც ტერნიპილის, ისე აჭარის რეგიონი ტურისტული თვალსაზრისით ძალიან მიმზიდველია. აჭარის უპირატესობა ზღვაა. სამწუხაროდ ჩვენ არ გვაქვს ასეთი

ფუფუნება, მაგრამ გვაქვს ტბა. ბევრი ევროპული ქვეყანა ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს ტურიზმის საშუალებით ავსებს. როგორც ვიცი, აჭარის ტურისტული ბიზნესის 80%-ს შიდა ტურიზმი შეადგენს, ანუ აჭარაში ისვენებს ქართველი მოსახლეობა, 20%-ს კი სომხეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ჩვენ აჭარის საზღვაო ინფრასტრუქტურითაც ვართ დაინტერესებულები. ვიცი, რომ საქართველოში სახარულით იღებენ უკრაინულ სტუმრებს. ჩვენი ნაცნობები, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ, დაუვინყარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ. ვფიქრობ, ქართული მხარე დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი ტურისტი ჩამოვიდეს უკრაინიდან. ტურისტების დიდი რაოდენობა ბიუჯეტის შესვების რესურსია, ამაზე კი დამოკიდებულია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. თავს მხრივ, ქართული მხარე დაინტერესებულია ჩვენი ციხე-სიმაგრეებით, გამოქვაბულებით და სხვა ღირსშესანიშნაობებით. დარწმუნებული ვარ, საქართველო უახლოეს წლებში დუპას და არაბეთის ემირატების სერიოზული კონკურენტი იქნება.

- რა ხახის გამოცდილება შეუძლიათ საქართველოს და უკრაინას გაუზიარონ ერთმანეთს?

- ძალიან გვაინტერესებს რეფორმების თქვენული გამოცდილება, კერძოდ, ძალოვანი სტრუქტურების სფეროში, რომლის შედეგადაც საქართველოს მოქალაქეები პოლიციისადმი დიდ ნდობას გამოხატავენ. ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოში ჩატარდა გამოკითხვა სხვადასხვა ინსტიტუციების მიმართ მოსახლეობის ნდობის შესახებ. ამ რეიტინგში პირველ ადგილს – ეკლესია, მეორეს კი – პოლიცია იყავებს, რაც რეფორმების წარმატებულად ჩატარებაზე მიანიშნებს.

- ტერნიპილში საქართველოს საკონსულოს გახსნა ივეგმება. რა არის ამის მიზანი?

- სერიოზული კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება გვსურს, ამიტომ გვინდა, გავხსნათ საპატიო საკონსულო. თუკი ეს თანამშრომლობა კარგად განვითარდება, მაშინ შეგვიძლია ჩვეულებრივ საკონსულოს გახსნაზეც ვილაპარაკოთ.

TamTa guguSvi / i

რეცეზია



mekameCeoba

გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის – „ავკასიური კამერის რძისა და ხორცის წარმოების პოტენციალის შესწავლა, რეკომენდაციების შემუშავება და გავრცელება“ პროექტით დაფინანსებული წიგნი „მეკამერიება“, რომელიც მეცნიერთა ჯგუფმა (გ. გოგოლი, გ. ხატიაშვილი, გ. მაჭარაშვილი, ლ. ტაბატაძე) შეადგინა.

წიგნში დეტალურად არის აღნიშვნილი შინაური კამერის წარმოშობის (მოშინა-

ურების), საქართველოში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მისი გავრცელების არეალის, მოშენების ისტორიისა და თანამედროვე მდგრმარეობის შესახებ. აქვე განხილულია კამერის ბიოლოგიური თავისებურებებისა და გამოყენების მიმართულების, აგრეთვე ამ სახეობის ცხოველების რძის, ხორცის და მათი პროდუქტების მსოფლიო სასურსათო ბალანსში ადგილის თაობაზე. წაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ავტორების სამწლიანი სამეცნიერო-საწარმოო ცდებისა

დალაბორატორიული გამოკვლევების შედეგებს, რომლებიც ქართული კამერის სამეურნეო-ბიოლოგიური თავი-სებურებების შესწავლას მიეძღვნა.

საქართველოს მექამეჩეობის ისტორიაზე საუბრისას ნაშრომში მოტანილია მრავალი ფაქტობრივი მასალა, მათ შორისაა პერძენი გეოგრაფის, მოგზაურისა და ფილოსოფოსის სტრაბონის (ძვ.წ.აღ.-ის 63/64 - ა.წ. 6. აღ.-ის 23-24) პირველი წერილობითი ცნობა ჩვენში შინაური კამერის არსებობაზე.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით XVIII საუკუნის დასაწყისში კამერი მრავლად ყოლიათ საქართველოს ყველა მხარეში (ქიზიყში, ქართლში, თიანეთში, დუშეთში, დიდოეთში, აფხაზეთში, იმერეთში), რასაც ხელს უწყობდა ეკოლოგიური პირობები, კერძოდ თბილი კლიმატი, მდინარეების, ტბების და წყალსატევების სიმრავლე, აგრეთვე, ბუნებრივი საკვები სავარგულების ფართო მასივები. იმავე მონაცემებით კახეთის ერთ-ერთ კუთხეს-ქიზის „კამბერთა სიმრავლისა გამო“... „კამბეროვანს“ უწოდებდნენ.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, გარკვეული „მოსაზრებებიდან“, გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან მეკამეჩეობისადმი ინტერესი თანადათან განელდა, 1960 წელთან შედარებით 1990 წლი-

სათვის ქვეყანაში კამერის სულადობა 2,25- ჯერ შემცირდა. ამას დაემატა ისიც, რომ სამოქალაქო ომის წლებში, აგრეთვე საზოგადოებრივი ქონების პრივატიზაციის პერიოდში ისევე, როგორც მეცხოველეობის სხვა დარგები, მეკამეჩეობაც მნიშვნელოვნად დაზარალდა. შედეგად, 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით საქართველოში კამერის სულადობამ შეადგინა მხოლოდ 29,5 ათასი სული (ანუ 1960 წელთან შედარებით 3-ჯერ ნაკლები), ხოლო ისტორიულ „კამბეროვანში“, ერთეულ მოხალისე ფერმერებს თუ ჰყავს ეს ცხოველი.

კვლევის სხვა მნიშვნელოვან შედეგებთან ერთად პრაქტიკული თვალსაზრისით საყურადღებოდ უნდა ჩაითვალოს ის, რომ კვების პირობების უნიშვნელოდ გაუმჯობესებისას ქართული ფურკამერის მონაწველი თითქმის ორმაგდება, ხოლო მაქსიმალური ლაქტაციური მონაწველი შეადგინს 2469 კგ რძეს, 7,98% ცხიმით. ასევე მაღალია ზაქის ცოცხალი მასის ზრდის პოტენცია: ნარმოების პირობებში ჩატარებული ცდებმა უჩვენა, რომ საძოვრულ საკვებზე დამატებით დღეში 1-1,5 კგ ხორბლის ქატოს მიცემისას ზაქის ცოცხალი მასის საშუალო დღელამური ნამატი ცალკეულ თვეებში 1 კგ-ს აღემატება.

ამდენად, წიგნში მოტანილი ემპირიული მონაცემების საფუძველზე დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ პროდუქტიულობის გენეტიკური პოტენციით და სხვა სამეურნეო-ბიოლოგიური მაჩვენებლებით ქართული კამერი არის ამ სახეობის ცხოველთა მსოფლიო გენოფონდის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილი.

ვფიქრობ, პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევების შედეგები და მათი დემონსტრირებისათვის განეული საორგანიზაციო სამუშაოები, აგრეთვე წინამდებარე ნამრომის გამოცემა გააძლიერებს ფერმერთა ინტერესს დღეისათვის დაუმსახურებლად მივიყებული დარგის-მეკამეჩეობისადმი, ხოლო შემოთავაზებული რჩევების და რეკომენდაციების წარმოებაში რეალიზაცია ხელს შეუწყობს მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ნამრომი დანერილია გამართული ქართულით, ილუსტრირებულია ფერადი ფოტოსურათებით, სქემებითა და გრაფიკებით, რაც აადვილებს მოწოდებული მასალის აღქმას; მასში მოტანილი მასალების გაცნობა სასარგებლო იქნება როგორც გამოცდილი, ასევე დამწყები ფერმერებისათვის და შესაბამისი პროფილის სტუდენტებისათვის.

ვაცხოვალეობა

sakvebi sa da kvebi s gavl ena rZis Semcvel obaze da mi sgan damzadebul i karaqis da yvel i s xari sxze



ყველის და კარაქის დასამზადებელი რძე ბიოლოგიურად სრულფასოვანი უნდა იყოს. რძის ბიოლოგიური სრულფასოვნება განისაზღვრება მასში ვიტამინების, მიკროელემენტების, პოლიპეტიფიცების და თავისუფალი ამინომჟავების შემცველობით. ამასთან, რძე არ უნდა შეიცავდეს ანტიბიოტიკებს, კონსერვანტებს და ზოგიერთ სხვა ნივთიერებას, რომლებიც აფერხებენ რძემჟავა ბაქტერიების გამრავლებას.

რძემჟავა ბაქტერიებს ყველის მომზიფების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ისინი, ასევე, გარკვეულ გავლენას ახდენენ რძის ჩაკვეთისა და შედედების პროცესზე.

დაუშვებელია ყველის დამზადება იმ ფერმაში წარმოებული რძისადან, რომლებშიც არსებობს ეჭვი ცხოველების ბრუცელოზით, ტუბერკულოზით, თურქულით, მასტიტით და ლეი-

კოზით დაავადებაზე ან დადასტურებულია ეს ფაქტი.

მასტიტით დაავადებისას ფურის რძის ქიმიური შემადგენლობა იცვლება და მისი ტექნოლოგიური თვისებები უარესდება. უფრო მეტიც, სუფთა რძეში მასტიტიანი ცხოველის რძის უმნიშვნელოდ (6%-ზე მეტი რაოდენობით) შერევაც კი უარყოფითად აისახება პროდუქტის დამ-

ზადების ტექნოლოგიურ პროცესზე და ყველის ხარისხზე: ასეთ რძეში დფრიტას (კვეთის) შერევის დროს მიღებული ნადედი უხარისხოა. ცალკეულ შემთხვევაში მასტიტიანი რძე მონამვლის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს.

ახლადგამოწველილ რძეში რძემუავას ბაქტერიების განვითარებისთვის არახელსაყრელი გარემოა, ის ცუდად იკვეთება და დედფება. ბიოლოგიური და ტექნოლოგიური თვისებების გასაუმჯობესებლად რძეს მომწიფების მიზნით $+8\dots+12^\circ$ ტემპერატურაზე 10-12 საათი აყოვნება.

მომწიფებულ რძეში მიზრდება პოლიპეპტიდების რაოდენობა, რომელიც ხელს უწყობენ რძემუავას მიკროფლორის გაატიურებას, მუავიანობის მომატებას და სხვა, მაგრამ დაბალ ტემპერატურაზეც კი რძის დიდხანს შენახვა არ შეიძლება, რადგან მისი ხარისხი მკვეთრად უარესდება.

ყველის დამზადების დროს რძეს უნდა გაუკეთდეს პასტერიზაცია $+72^\circ\text{C}$ ტემპერატურაზე 20 ნებ-ის განმავლობაში. უფრო მაღალი ტემპერატურა იწვევს რძეში შემავალი კალციუმის მარილების უხსნად მდგომარეობაში გადასვლას, რის გამოც ის კარგავს ჩაკვეთის უნარს. უფრო მაღალ ტემპერატურამდე გაცხელებული რძის ჩაკვეთის უნარის აღსადგენად საჭიროა მას დავამატოთ ორქლორიანი კალციუმის (CaCl_2 -ის) 30%-ანი წყალხსნარი 25 — 125 მლ/100 ლ-ზე ოდენობით.

სანარმოებმა, რომლებიც მიმართავენ რძის პასტერიზაციას, აუცილებელად უნდა დაიცვან ყველის დამზადების რეგლამენტი.

ყველის დასამზადებლად კარგია რძე, თუ ის შეიცავს არანაკლებ 3,1% ცილებს, მათ შორის 2,6% კაზეინს და 3,6% ცეიმებს.

საკვების და მენველი პირუტყვის კვების გავლენა რძისა და რძის პროდუქტების ხარისხზე

საკვები და დაბალანსებული კვება დიდ გავლენას ახდენს რძის ხარისხსა და მის ტექნოლოგიურ თვისებებზე. მაგალითად:

შვრისა და ქერის მარცვლით, ან კიდევ ხორბლის ქატოთი ნაკვები ფურის რძიდან დამზადებული კარაქი უხეში კონსისტენციისა;

სელის, მზესუმზირის, სოიას, ბამბისა და სხვა კონტრინით ნაკვები ფურის



რძიდან დამზადებული კარაქი მაღალი ხარისხისაა, ხასიათდება კარგი კონსისტენცით, რბილი და გემრიელია.

ფურის ერთგვაროვანი საკვებით: თივით, ნამჯით და კარტოფილით კვების შემთხვევაში მიღება უხეში, უგემური კარაქი.

უჯრედანით მდიდარი საკვები ხელს უწყობს ცილების, ცხიმებისა და სასარგებლო მიკროორგანიზმების შემცველობის მომატებას და ხარისხის გაზრდას. თუ ფურის ულუფით ბევრი შაქარია, მაშინ ორგანიზმის საჭმლის მომნელებელ სისტემაში ნარმოიქმნება მეტი ცხიმმჟავები და ნაკლები ძმარმჟავები. ამ კანონზომიერების ცოდნით და მენველი პირუტყვის ულუფის სწორად ორგანიზებით, შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს რძის ცხიმიანობა და ხარისხი.

პირუტყვის სისტემაში დიდი რაოდენობით კოპტონის, ჭარბლის, კარტოფილის, ბადაგის და ცუდი ხარისხის თივის მიცემა უარყოფითად აისახება ყველის ხარისხზე და პირიქით, თუ

ფურს ვკვებავთ სახამებლით მდიდარი საკვებით (რომელიც ზრდის პროპორციის მუვების მოცულობას, და თავის მხრივ ხელს უწყობს რძეში ცილების ნარმოქმნას) საბოლოო ჯამში მიღება ხარისხიანი, შესაბამისი კაზეინის შემცველობის ყველი.

ჩვენში თუ საზღვარგარეთ ჩატარებული მრავალი კვლევა მონმრბას, რომ სრულფასოვანი და კარგად დაბალნებული ულუფით კვებისა და ზომბიგიერური ნორმების დაცვისას მიღება მაღალი ხარისხის რძე და რძის პროდუქტები. უსაფუძვლოა იმის მტკიცება, თითქმის სილოსი უარყოფითად მოქმედებს რძის ხარისხზე. კარგად ჩადებულ სილოსა არ აქვს უსიამოვნო სუნი და იგი არ შეიძლება უარყოფითად მოქმედებდეს რძის ხარისხზე. ხარისხიანი სენაცითა და მწვანე საკვებით მეწველი პირუტყვის კვება, ხარისხიანი პროდუქტის მიღების საფუძველია.

სარძევე მეცხოველეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ულუფის მრავალფეროვნებას. დადგენილია სხვა-

**cxr II I. cal keul i furajlis maqsimaluri dRe-Ramuri normebi
550 kg-mde cocxal i wonis mewvel i furisaTvis**

ფურაჟი	გასაყიდი რძის სანარმოებლად	კარაქის სანარმოებლად	ყველის სანარმოებლად
რაფისის კოპტონი	1,5	1,25	1,0-1,5
კანაფის კოპტონი	2,5	1,0	1,0-1,5
ნამჯა	6,0	4,0	3,5
შერია	4,0	2,5	3,0
სიმინდი	4,0	2,0	3,0
სოია, ბარდა	1,5	1,5	1,5
ლუდის ნახარში (ბუყი) ახალი	16,0	16,0	8,0
ლუდის ნახარში (ბუყი) მშრალი	2,5	2,5	1,5
ჭარბლის ბადაგი დასილოსებული	30,0	30,0	16,0
მწვანე ბარდა	20,0	10,0	10,0
მშრალი ბადაგი	5,0	3,5	2,0
საკვები ჭარბალი	40,0	40,0	20-25
მაღალი ხარისხის წენანი (55-63%) სუნა	25-30	25-30	25-30
სიმინდის სილოსი	30-35	15-20	15-20

დასხვა საკვების შემცველი ულუფების დადაქებითი გავლენა ჭამალობისა და საყუათო ნივთიერებების ათვისებაზე. საყუათო ნივთიერებების მაღლალი მონელებადობა აიხსნება იმით, რომ სხვადასხვა კომპონენტის კუჭნაწლავში ერთდროულად მოხვედრა ხელს უწყობს მონელების პროცესის ნორმალიზებას, კუჭში საკვების მიკრობულ ფერმენტაციას, ავსებს ერთმანეთს და, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს იმ ნივთიერებების წარმოქმნას, რომელიც საჭიროა მაღალხარისხიანი ლიპოიდებით, ცილითა და ცხიმებით მდიდარი კარაქისა და ყველის მისაძლებად.

ლაქტაციის პერიოდის გათვალისწინებით მენცველი პირუტყვის ულუფის დაბალნება სხვადასხვა საკვებნარევის მომზადებითაა შესაძლებელი.

ის ფურები, რომელთა ნლიური მონაწველი 6000-7000 კგ რძეა, უნდა ვკვებოთ ასეთი საკვებნარევით (ენერგეტიკულ საკვებ ერთეულებში):

ახლადმოგებულ პერიოდში (ლაქტაციის პირველი 100 დღე) - ულუფაში 55-60% უნდა მოდიოდეს მოცულობიანი საკვებზე, ხოლო 40-45% კონცენტრირებულზე; ლაქტაციის შუა პერიოდში (101- დან 200 დღემდე) საკვებთა შეფარდება, უნდა იყოს 70-75% / 30-25%, ხოლო ბოლო, მესამე პერიოდში (201-305 დღე) - 85-90% / 15-10%, შესაბამისად, მშრალობის პერიოდში პირუტყვის ნაკვებობის მიხედვით აძლევენ ლაქტაციის მეორე, ან მესამე პერიოდის ულუფებს.

ლაქტაციის პირველ პერიოდში მშრალი საკვებით დიდი რაოდენობით გამოყენებისას, პირუტყვის სიჯან-

სალის შესანარჩუნებლად ერთ-ერთი მთავარი პირობა ნედლი უჯრედანით მდიდარი საკვების ნარევის მიცემაა, რომელიც უზრუნველყოფს ცონის ინტენსივობას. ფურის ულუფაში 8 მშზე უფრო დიდი ზომის ნაწილაკებიანი საკვების ხევდრითი ნილი 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ფურისთვის მიცემულ მშრალ საკვებში უჯრედანების მოცულობა დაკავშირდება 12 კგ-ზე ნაკლები; შაქრისა - 250 გრამზე მეტი, ხოლო სახამებლისა - 1 კგ.

მაღალი ხარისხის რძის მიღების მთავარი პირობაა ხარისხიანი საკვები, ზორპიგიერულ მოთხოვნების შესაბამისად პირუტყვის სრულფასოვანი კვება და მოვლა. ხარისხიანი რძის წარმოებას ასევე განაპირობებს ფურების სპეციალურ საწველ მოედანზე პრაბრძანების წეველის პროცესის სრული ავტომატიზება.

გეცხოვალეობა



wi will is gamozrda fermerul (sakarmidamo) meurneobaSi

როგორც ქათმის, ასევე სხვა სასოფლო-სამეურნეო ფრინველის მოზარდის გამოზრდა ფერმერულ მეურნეობებში ერთ-ერთ რთულ და მეტად საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს, რადგან სწორედ მის ხარისხიანად შესრულებაზეა დამოკიდებული მეურნეობის შემდგომი წარმოება. ამჯერად შემოგთავაზებთ ადგილობრივი პოპულაციის ქათმების მოზარდის გამოზრდის ტექნოლოგიას ფერმერული მეურნეობების პირობებში.

იმ შემთხვევაში თუ ქათამი არ მოკრუხდა, ან გესურს დიდი რაოდენობით კვერცხის გამოჩეუა, შესაძლებელია კვერცხის ჩანაწილი ინკუბაციონში. გამოჩეუილი ერთდღიანი წინილი ინკუბაციონუმიდან უნდა გადაყვანილ იქნას ცალკე შენობაში და დაისვას ღრმა საფრთხე, რომლის მოწყობის წესი არის შემდეგი: ფრინველის დასმამდე აუცილებელია საფრინველები, იატაკზე, კედლებსა და ჭერზე რაიმე სადეზინფექციო სსნარით, ან ჩაუმტერალი კირის 5%-იანი (10ლ. წყალში 500 გრ ჩაუმტერალი კირი) წყალსნარით დეზინფექცია ჩაუტარდეს. ამის შემდგომ მინატეპნილ, ან ბეტონის იატაკზე უნდა მოწყობს ე. წ. ღრმა საფრინი, რომელიც ენყობა შემდეგნაირად: ყოველ 1 მ²-ზე უნდა მოვაყაროთ 0,5-0,7 კგ. ჩამტერალი კირი; შემდეგ 5-6 სმ-ის სისქეზე უნდა დაიყაროს ქვეშაფენი. ქვეშაფენად

შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ტებოდეს 15-20 სმ-ს. იმის გამო, რომ ახალგამოჩეუილ წინილს ძალიან სუსტად აქვთ განვითარებული თერმორეგულაცია, აუცილებელია საწინილები ტემპერატურული რეჟიმის დაცვა. ამინირომ საბოლოოდ მისი სისქე არ აღემა-

ტებოდეს 15-20 სმ-ს. იმის გამო, რომ ახალგამოჩეუილ წინილს ძალიან სუსტად აქვთ განვითარებული თერმორეგულაცია, აუცილებელია საწინილები ტემპერატურული რეჟიმის დაცვა. ამინისათვის იყენებენ ელექტროპროდუქტებს.

sakvebi s struktura da Semadgeni oba (%)

№	კომპონენტები	საკვების გარიანტი			
		I	II	III	IV
1.	ყვითელი სიმინდი	40	40	45	35
2.	ხორბალი	15	10	--	--
3.	ქერი	15	20	20	20
4.	სორგო	10	5	--	--
5.	ბარდა ან სოიო	--	--	15	25
6.	მზესუმზირის კოპტონი	5	--	5	5
7.	პრემიქსი	--	7	--	--
8.	ბალანსი ფენოლი (მწვანე მასა)	10	13	10	10
9.	Ca - ცარცი, კარქვა ან ნიჟარა	5	5	5	5
	ს უ ლ	100	100	100	100

ელექტრობრუდერი ქოლგის მსგავსია და მასში ადვილად შეიძლება სითბოს რეგულირება. თავდაპირველად წინილების მიღებამდე რამდენიმე საათით ადრე ელექტრობრუდერს დაუშვებენ თითქმის საფენის სიმაღლეზე, ჩართავენ და გაათბობენ +35°C ტემპერატურამდე. შემდეგ ბრუდერის ქვეშ დასვამენ ერთდღიან წინილებს. ბრუდერის გარშემო უნდა მოეწყოს საკვებური და სარწყულებელი. იმ მიზნით, რომ წინილი არ მოშორდეს ბროდერს.

იმ შემთხვევაში თუ ბრუდერიარარის ხელმისაწვდომი, მეფრინიველე-ფერმერისათვის საწინილებში მიკროკლიმატის დაცვა ხდება შემდეგნაირად: საფრინველე უნდა გათბეს წინილის დასმამდე 5-6 სთ-ით ადრე ისე, რომ საფენის ზედაპირზე ტემპერატურა იყოს +31-32°C. ამის შემდეგ წინილების დასმა

ხდება. პირველი კვირის განმავლობაში ეს ტემპერატურა უნდა შენარჩუნდეს. ექვსი დღის შემდეგ ტემპერატურას 20°C-ით ვამცირებთ; მეათე დღისთვის +25°C-მდე ჩამოგვყავს. ხოლო ოცდამერთე დღიდან ტემპერატურა +20°C-ია. ტენიანობა შენობაში 65-70% უნდა იყოს. ტემპერატურისა და ტენიანობის რეგულირება ფსიქრომეტრების საშუალებით უნდა გაეკონტროლდეს.

წინილის საკვების დასამზადებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი რეცეპტი (4 ვარიანტი):

საკვების სტრუქტურა და შემადგენლობა (%)

შენიშვნა: სორგოს ხელმიუწვდომლობის შემთხვევაში მისი პროცენტი შეიძლება დაემატოს ყვითელი სიმინდის პროცენტს; საკვებში კალციუმი შეიძლება მიეცეს ნიჟარის, ცარცის,



ან დაფქვილი კვერცხის ნაჭუჭის სახით.

koba nacval aZe

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიხ. რჩეულიშვილის
მეცნიერებლების ბიოლოგიური საუძღვლების ინსტიტუტის დირექტორი

მეცნიერება

kvI evebi Roris afrikul i cxel ebi s kontrol i saTvis saqarTvel oSi

ლორის აფრიკული ცხელება მაღალ კონტაგიოზური, მწვავედ მიმდინარე დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცხელებით, კანის ციანოზით, შინაგანი ორგანოების ჰემორაგიებით, ნეკროზულ-დისტროფიული ცვლილებებითა და მაღალი ლეტალობით. იგი განეკუთვნება განსაკუთრებით საშიშ დაავადებათა რიცხვს, რომლსაც დიდი ეკონომიკური ზარალის მოტანა შეუძლია.

დაავადების სინონიმებია: ლორის აფრიკული ჭირი, მონტგომერის დაავადება, ლორის აღმოსავლეთ აზიური ჭირი.

ლორის აფრიკული ცხელება პირველად რეგისტრირებული იქნა ჰატჩენის მიერ აღმოსავლეთ აფრიკაში, XX საუკუნის დასაწყისში (1903.წ). დაავადების ვირუსოლოგიური ეტიმოლოგია დაამტკიცა ინგლისელმა მკვლევარმა მონტგომერიმ (1921 წ). მოგვანებით სტეინმა დაავადება აღწერა, როგორც ლორის აფრიკული ცხელება (1928-32 წწ.). ამ დროისათვის დაავადება გავრცელებული იყო აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაში. შემდგომ დაავადება შეტანილ იქნა ევროპაში: 1957 წელს პორტუგალიაში, 1960 წელს ესპანეთში, 1964 წელს საფრანგეთში, ბელგიისა და ნიდერლანდებში, 1967-68 წლებში

იტალიაში, 1971 და 1978 წლებში დაავადება გავრცელდა ამერიკის კონტინენტზე და კუნძულ კუბაზე.



2007 წლის დასაწყისში ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა (კ. ბაბაკიშვილი, თ. ყურაშვილი, ც. მაჩიტიძე) მასინდელ, ქვეყნის მთავარ ვეტერინარ ინსპექტორთან ბ-ნ ჯამბულ მაღლაკელიძეს-თან ერთად დაავალეთ საქართველოში დაცემული ლორების ეპიზოოტოლოგიური, კლინიკური და პათოლოგო-ანატომიური მეთოდებით კვლევის

შედეგად, დიაგნოზი დასვა ლორის აფრიკულ ცხელებაზე, რაც შემდგომ (2006 წლის შემოდგომაზე) პირბაოდის (დიდი ბრიტენეთი) ლაბორატორიამაც დაადასტურა. საქართველოდან გადაგზავნილ ლორის პათოლოგიურ მასალებში ლორის აფრიკული ცხელების ვირუსის დადასტურების შემდგომ, ცხოველთა ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ (OIE) საქართველო ამ დაავადებაზე არაკეთილსამედო ქვეყნად გამოაცხადა. ლაბორატორიული დადასტურების მომენტისათვის დაავადებას მცირე გამონაკლისების გარდა, სრულად ჰქონდა მოცული ქვეყნის ტერიტორია.

2007 წელს დაავადება დაფიქსირდა სომხეთსა და რუსეთის ფედერაციაში, სსვადასხვა მონაცემებით 2012 წლის 16 თებერვალს დაავადება დაფიქსირდა ბელორუსიაშიც (ნეზნანოვო).

აფრიკაში ლორის აფრიკული ცხელების ვირუსის მრავალი ტიპი არსებობს. საქართველოში ისევე, როგორც მთლიანად რეგიონში გავრცელებულია ვირუსის მე-2-ე, ძალზედ მაღალ ვირულებური გენოტიპი, რომელიც პირველად დაფიქსირდა 1998 წელს ზამბიაში, მადაგასკარსა და მოზამ-

ბიკში. ვირუსის აღნიშნული გენოტიპი მაღალვირულენტურია, რაც ძირითადად განაპირობებს დაავადების ზემცვავე და მწვავე ფორმებს.

როგორც წესი ვირუსის გავრცელება ხდება დაავადებული ღორის ხორცისა და ხორცორიდუქტების ტრანსპორტირებისას ან ინფიცირებული საკვების და საგნების გადაადგილებით. კონტინენტაშორისი გავრცელება ძირითადად ხდება გემიდან ან თვითმფრინავიდან საკვების ნარჩენების შესაბამისი დამუშავების (დაწვის) გარეშე ნაგავსაყრელზე გადაყრის გზით, საიდანაც თავისუფლად მოხეტიალე ღორები ავადდებიან.



საქართველოში დაავადების აღმძრელი ვირუსის შემოლწევის გზა ოფიციალურად დადგენილი არ არის, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ დაავადების გავრცელების მიზეზი სწორედ ზემოთმოვყანილი ფაქტორი იყო, კერძოდ კი ფოთის პორტიდან შემოტანილი დაავადებული, გაყინული ან შებოლილი ხორცი ან გემიდან გადმოტანილი საჭმლის ანარჩენების კონტეინერი. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტი, რომ დაავადების პირველი შემთხვევები სწორედ ფოთში დაფიქსირდა, საიდანაც ის იძულებით დაკლული ღორის ხორცით ელვისებური სისწრაფით მოედო თითქმის მთელ საქართველოს. დაუზუსტებელი მონაცემებით, საქართველოში მოკვდა ან იძულებით დაკლული 500 000 მდე ღორი, მიყენებულმა ზარალმა კი 50-60 მილიონი ლარი შეადგინა.

საქართველოში დაავადების მიმდინარეობამ დაგვანახა, რომ დაავადების აღმძრელი ვირუსის მიმართ ამთვისებელი ნებისმიერი ასაკისა და ჯიშის შინაური ღორი. დაავადების ინკუბაციური პერიოდი 5-15 დღემდე მერყეობს, სიკვდილიანობის მაღალი დონე (ყველა ასაკის ღორში) ღორის აფრიკული ცხელების ძირითადი მაჩვენებელია. არჩევენ დაავადების ზემცვავე, მწვავე, ქვემცვავე და ქრონიკულ ფორმას. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ნებების

მანძილზე აფრიკაში და სხვა კონტინენტებზე გარეულ ღორებში დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს.

დაავადების სიცოცხლისუნარიანობისათვის საჭიროა ვირუსის არსებობა ოთხიდან მინიმუმ ერთ-ერთ კომპონენტში:

ბუნებრივი მასპინძელი – გარეული ღორი;

რბილი (არგასიული) ტკიპები. ვირუსს შეუძლია მასში რამოდენიმე წელი იცოცხლოს და გავრცელდეს ტკიპების დაინფიცირებული კვერცხების მეშვეობით;

დაავადებული ახალი, გაყინული, შებოლილი და ცუდად მომზადებული (არასაკარისად დამუშავებული) პროდუქტი.

ღორების დიდი პოპულაციები, სადაც ღორების გამრავლება ასწრებს მათ დაავადებასა და სიკვდილს.

ღორის აფრიკული ცხელების საქართველოში შემოლწევის შემდგომ მრავალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ სხვადასხვა სახის დახმარება გაუწია საქართველოს, აქედან განსაკუთრებით გამოსარჩევია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ დაფინანსებული კვლევა ღორის აფრიკულ ცხელებაზე გარეულ ღორებსა და ე.წ. *Ornithodorus* ოჯახის არგასიულ (რბილ) ტკიპებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ ორ ფაქტორს გადამწყვეტი როლი ეკისრება დაავადების ენდემურად შენარჩუნებასა და მის გავრცელებაში, კვლევის შედეგებს უდიდესია მნიშვნელობა აქეს საქართველოს, როგორ ღორის აფრიკული ცხელებისაგან თავისუფალ ქვეყნად აღიარებისათვის.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღება: აგრარულმა უნივერსიტეტმა, პარაზიტოლოგისა და ტროპიკული მედიცინის ინსტიტუტმა, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, ზოოლოგის ინსტიტუტმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ და ეროვნულმა სამსახურმა (სურსათის ეროვნული სააგენტო), პროექტში აგრეთვე მონაწილეობენ მონადირეთა კავშირის წარმომადგენლები, რომელთა დახმარებით, მოხერხდა გარეული ღორების მოპოვება. ლაბორატორიული კვლევებისათვის სულ მოკლული იქნა 8 გარეული ღორი, რომელთაგანც ერთი დაახლოებით 9-10 თვისა იყო, მეორე 2-2,5 წლის ხოლო დანარჩენი 6 კი 1,5-2 წლის.

სოფლის მეურნეობის ლაბორატორიაში სულ გადაგზავნილ იქნა 8 ღო-

რის ნიმუში, მათ შორის: 3-3 კახეთი და სამცხე ჯავახეთიდან ხოლო 2 სამეგრელოს რეგიონიდან.

აღმოსავლეთ საქართველოში კერძოდ ქვემო ქართლსა (გარდაბანი) და კახეთში (საგარეჯო, ლაგოდები), ცხოველთა სადგომებსა და სოროებში სხვადასხვა სახეობის 186 რბილი (*Ornithodoros*) ტკიპი იქნა შეგროვებული (მათი ფიზიოლოგიდან გამომდინარე ისინი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს გარეულ არეალში ბინადრობენ). მოპოვებული ტკიპების კლასიფიკაცია მოხდა სტანდარტული მეცნიერული ტკიპიკისა და პროცედურების მიხედვით, რომელიც ჩატარდა ტროპიკული მედიცინისა და პარაზიტოლოგის ინსტიტუტში ქალბატონ გ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით.

კვლევებისას გამოყენებული იქნა ტკიპების შეგროვების ორი მეთოდი: მექანიკური (ხელით შეგროვება) და მშრალი ყინულის (CO2) მახები.

შეგროვებული ტკიპები და ღორის პათ-მასალა გამოკლვეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობისასა-მინისტროს ლაბორატორიაში, ღორის აფრიკული ცხელების გამოსავლენად გამოყენებული იქნა პოლიმერაზა ჯაჭვური რეაქცია (PCR) და იმუნოფერმენტული ახალიზი (ELISA).

8 გარეული ღორის პათოლოგიურ მასალასა და 186 რბილი (არგესიული) ტკიპის ნიმუშებში ღორის აფრიკული ცხელების აღმძრელი ცხელებაში გამოსავლენად გამოყენებული იქნა პოლიმერაზა; გარეული ღორის აფრიკული ცხელების გავრცელებაზე გარეულ ღორებსა და ე.წ. *Ornithodoros* ოჯახის არგასიულ (რბილ) ტკიპებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ ორ ფაქტორს გადამწყვეტი როლი ეკისრება დაავადების ენდემურად შენარჩუნებასა და მის გავრცელებაში, კვლევის შედეგებს უდიდესია მნიშვნელობა აქეს საქართველოს, როგორ ღორის აფრიკული ცხელებისაგან თავისუფალ ქვეყნად აღიარებისათვის.

